ბრძოლის ხმა

1931 წ. ნოემბერი
პარიზი

№ 18

1931 — NOVEMBRE
Paris

ყოველთვიური ორგანო საქ. სოც.-დემ. მუშ. პარტ. საზღვარგარეთელ ბიუროსი ⁞ «L' ECHO DE LA LUTTE» — Revue mensuelle duParti Social-Démocrate Ouvr. de Géorgie.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინგლისის არჩევნები

ინგლისის არჩევნები იწვევენ საერთო გაკვირვებას, სიხარულს მუშათა პარტიის მტრებში, მწუხარებას მეგობრებში.

მართლაც, მოხდა მოულოდნელი უჩვეულო ამბავი, უძლიერესი პარტიის პარლამენტალური განადგურება, საერთოთ ოპოზიციის უმნიშვნელო დონემდე დაყვანა. ამ დიდი ამბის ახსნა მაკდონალდის და სნოუდენის გამოთიშვით არ შეიძლება, უეჭველია ამ გარემოებამ ითამაშა როლი, მაგრამ არა დიდი. ხალხის პსიხოლოგიას და აზროვნებას ქმნის არა პიროვნებანი, არამედ გარემოებანი, მდგომარეობა, პირებისაგან და პარტიებისაგან სრულიად დამოუკიდებელნი. ამათი როლი განისაზღვრება ამ მდგომარეობის გაგებით და მისი მდინარით თავისი წისქვილის აბრუნებით.

ინგლისი დღეს იმყოფება მძიმე მდგომარეობაში, მისი შინაგანი და საერთაშორისო პოზიცია ძირიანათ შერყეულია, შერყეულია ეკონომიური სტიქიით, მისი მეურნეობის თავდაღმართში დაქანებით. მისი დღევანდელი კრიზისი არ გავს წინანდელ კრიზისებს და არც ძველებური მალამოთი განიკურნება. ამ ისტორიულ გარდატეხას მომზადებული ვერ შეხვდა ვერც პარტიები, ვერც ხალხი. ის ამათ მოულოდნელათ თავს დაატყდათ. დაიწყო ჩვეულებრივი, უბრალო ამბით—ბიუჯეტის წონასწორობის დარღვევით. ასეთი ამბავი ყოველგან ხდება, არსად ის კატასტროფის წინამორბედათ არ ითვლება. ინგლისშიაც ეს ასეთ ამბათ მიიღეს და მაკდონალდის უეცარ აფეთქებამ—ქვეყანა განსაცდელშია, შევერთდეთო—ვერ პოვა თავის პარტიაში გამოხმაურება. უკეთესი შეგნება არც სხვა პარტიებს ქონდათ, მაგრამ მაკდონალდის ახალი ფრონტით ისარგებლეს კონსერვატორებმა თავისი პარტიული კაპიტალის შესაძენათ და მას მხარი დაუჭირეს. გამოვიდა რომ ყველა პარტიამ გაიგო მდგომარეობის საშიშარი სახე გარდა მუშათა მინისტრებისა (სამის გამოკლებით) და მათი ლაშქარისა. და ეს არა მარტო ინგლისში, არამედ კონტინენტზეც. მაკდონალდის საყვირი აქ მხოლოდ განცვიფრებას იწვევდა. ლეონ ბლიუმი ჯერ კიდევ 26 აგვისტოს გამოსთქვამდა ამ განცვიფრებას და სწერდა: «მე ვამტკიცებ რომ ინგლისის ვალიუტა არავითარ საფრთხეს არ განიცდიდა. ბირჟის ვარიაცია, რამაც ასე აალელვა საზოგადოება, წარმოადგენს განსხვავებას რაღაც სანტიმებში... მაშ სად არის ნაციონალური საფრთხე? რა ითხოვდა ნაციონალურ ერთობას» და სხ. («პოპულერი»). ასე ოპტიმისტურათ აფასებდენ ინგლისის ეკონომიკას და პესიმისტურათ მაკდონალდის ახალ პოლიტიკას.

არ გასულა ამის შემდეგ ორი კვირაც, რომ გამართლდა მაკდონალდის პესიმიზმი, ვალიუტა დაეცა, კრიზისმა იფეთქა და ის მთელ ქვეყანას მოედვა. აი უდაო ფაქტი. როგორ უნდა გადატეხილიყო ის ინგლისის ხალხის აზროვნებაში? სულ უბრალოთ—მუშათა მთავრობა გაექცა ნაციონალურ საფრთხეს, დასტოვა სახელმწიფო საჭე და მას ხელი მოკიდეს კონსერვატორებმა. ე. ი. მუშათა პარტიამ თავისი პარტიული ხაზი ვერ გადააბა ნაციონალურ ხაზთან, მათი ინტერესები ვერ მოარიგა და ხალხმა მისგან პირი იბრუნა. გადამჭრელი როლი ითამაშა, მაშასადამე, ნაციონალურ საფრთხის დროს წარმოშობილმა ერთი ფრონტის საკითხმა. დიდი ომის დროს პარტია შევიდა საერთო ფრონტში ჰენდერსონის მეთაურობით მაკდონალდის წინააღმდეგ; ამ ნაბიჯმა უეჭველია ხელი შეუწყო პარტიის ასე მოკლე დროში ასე დიდათ გაზრდას. ამჟამათ კი მან უარყო ეს ფრონტი და პარტია დაზარალდა. ასეთივე ბედი ეწვია ლოიდ ჯორჯის პარტიას, ამავე ტაქტიკის წარმოებისათვის. ერთი სიტყვით, ინგლისის ხალხმა გაანიავა ყველა პარტია და ჯგუფი (მოსლეის, კომუნისტების და სხ.), რომელნიც ერთი ფრონტის ნიადაგზე არ შედგენ.

მუშათა მთავრობის ამ ტაქტიკური შეცდომით მოხერხებულათ ისარგებლეს კონსერვატორებმა და მიიღეს უდიდესი გამარჯვება. ამათ სრულიად დაუმსახურებლათ და უშრომელათ მომკეს სხვისი ყანა, მეყანეებისაგან მიტოვებული. აი აქ მაკდონალდმა და სნოუდენმა ითამაშეს საბედისწერო როლი, გახდენ მოწინააღმდეგეთა იარაღათ. იმის მაგიერ რომ ემოქმედათ პარტიული გზით, დაერწმუნებიათ თავის აზრებში პარტია, გაეწიათ წინასწარი შესაფერი აგიტაცია და პროპაგანდა, მათ ყველა დააყენეს ფაქტის წინაშე და მოითხოვეს დადასტურება. ასე უორგანიზაციოთ და უდისციპლინოთ წარმოებული პოლიტიკა, თუნდაც ის თავისთავათ მართალი იყოს, არ შეიძლება არ გახდეს წყაროთ შინაურთა არევ-დარევის და გარეშეთა გამარჯვების. ნაციონალური ფრონტის აუცილებლობა უნდა გამხდარიყო საჯარო დისკუსიის საგანი, გარკვეულ პროგრამაზე აგებული და პარტიების მიერ შეგნებულათ მიღებული ან უარყოფილი. მოხდა წინააღმდეგი და ამიტომ ეს ახალი სამფეხა ფრონტი დარჩა უპროგრამოთ, სამაგიეროთ აღსავსე აუარებელ ილიუზიებით. ეკონომიურ მსვლელობას თავისი ულმობელი კანონები აქვს და მისი შებრუნება ვერავითარ ზერელე საარჩევნო კომბინაციებს არ ძალუძს. ამ მსვლელობას ანგარიში გაუწია მხოლოდ მუშათა პარტიამ და პროგრამაც შესაფერი წამოაყენა. ეს პირველი პროგრამაა ინგლისის მუშათა პარტიისა გარკვეულათ სოციალისტური ხასიათის. მაგრამ პარტიამ ვერ შესძლო ამ პროგრამის მედროშეების გაყვანაც კი სახელმწიფო ასპარეზზე, ე. ი. თავისი ჩინებული პროგრამა ვერ ააგო შესაფერ ტაქტიკაზე, ვერ დაუკავშირა ვერც მომენტს, ვერც ხალხის პსიხოლოგიას, მის რწმენას და ცრუმორწმუნეობას. საერთო ფრონტში შესვლა თავისი გაშლილი დროშით პარტიას შეანარჩუნებდა მთლიანობას, ძალას და გავლენას და თუ ფრონტი დაიშლებოდა—ეს მოხდებოდა საქმეში, გარკვეულ პრაქტიკულ ნაბიჯებზე, რეფორმების ირგვლივ, რაიცა ხალხისათვის გასაგები გახდებოდა და თავის არჩევანს დაფიქრებულათ გააკეთებდა. ასე მოიმოქმედა 1926 წ. ბელგიის მუშათა პარტიამ ვალიუტის გამოსასწორებლათ და მით თავისი ძალა შეინარჩუნა. ახლა კი ბრძოლა გაჩაღდა არა პროგრამის, არამედ ტაქტიკის ნიადაგზე—ნაციონალური ფრონტი თუ განდგომა; რაიცა გახდა არა პოლიტიკურ, არამედ დემაგოგიურ დავათ, თითქოს ინგლისის ხსნა სურს ყველას, გარდა მუშათა პარტიისა!

გასაკვირალია ისიც რომ ასე არა-ხელსაყრელ გარემოებაში პარტიამ შესძლო შვიდი მილიონი ხმის მიღება, ე. ი. ყველა ხმის მიმცემთა ერთი მესამედის. ამ დიდ ჯარს არ მიეცა შესაფერი პოლიტიკური გამოხატულება საარჩევნო სისტემის წყალობით, დამყარებული უბრალო უმრავლესობის პრინციპზე. ეს სისტემა ითვლებოდა დემოკრატიულათ მონარქიულ წყობილებაში, მაგრამ დღეს ნამდვილი დემოკრატიულია მხოლოდ პროპორციონალური საარჩევნო უფლება. ყოველ შემთხვევაში, პარტიამ კადრი, ორგანიზაცია და მასა შეინარჩუნა და მისი დრო დარეკს როცა ახალი მთავრობის ილიუზიები გაქრება და ერი იმედგაცრუებული დარჩება.

კრიზისში

ევროპის კრიზისი გრძელდება. ის თანდათან ფართოვდება და ღრმავდება.

ევროპის კრიზისი უკვე გადაიქცა მსოფლიო კრიზისათ. მან ჩაითრია ძველი და ახალი ქვეყნების თითქმის ყველა ხალხები და სახელმწიფოები. კრიზისის თავი ძევს ევროპაში, ხოლო მისი ტანი გაწოლილია ყოველგან, მთელი ქვეყნიერების ზურგზე.

საბჭოთა ქურუმები დიდი ხანია შენატროდენ კაპიტალისტური სისტემის დარღვევას; და აი, როცა ის მართლა დაიწყო, გამოჩნდა რომ ის თან ითრევს თვით საბჭოთა მეურნეობას. ეს «სოციალისტური» ეკონომიკა მჭიდროთ დამოკიდებული ყოფილა კაპიტალისტურ ეკონომიკაზე, საიდანაც ის იღებს შველას კრედიტების სახით. საბჭოთა მუდმივი ეკონომიური კრიზისი, გამოწვეული მისი შინაური დუხჭირი წყობილებით, თავს აღწევდა კატასტროფას დასავლეთის კაპიტალისტების დახმარებით, განსაკუთრებით გერმანიის შემწეობით, სადაც დღეს მილიარდი მარკის საბჭოთა ვექსილები ტრიალებს გაუნაღდებელი. აი ეს საწყალი ფური დღეს მოუსპო მოსკოვს და მით ისიც ჩადგა მსოფლიო კრიზისის ფერხულში.

ამ კრიზისის მთავარი მაჩვენებელია უმუშევრობა, ე. ი. ეკონომიური საქმიანობის შეკუმშვა, შემცირება, შედუნება. ეს მოვლენა არ ახალია, ძველია. უმუშევრობა ანუ მუშათა სარეზერვო არმია აუცილებელი ატრიბუტია კაპიტალისტური სისტემის, ანუ მარქსის სიტყვებით რომ ვთქვათ ის «კაპიტალისტური დაგროვების აბსოლიუტური, საყოველთაო კანონია». კაპიტალი მუდამ შეხაროდა იმ მდგომარეობას, როცა ბაზარზე საჭიროებაზე მეტი მუშა ხელია და, მაშასადამე, დაბალ ფასებში დასაქირავებელია. დღეს კი პირიქით, ამავე მოვლენამ არა თუ არ გაახარა კაპიტალი, არამედ პირიქით, ის ერთიანათ ააფორიაქა და განსაცდელისაკენ გააქანა.

რატომ?

მიზეზი ცხადია. დღევანდელი უმუშევრობა აჭარბებს რიცხვით ყველა წინანდელ უმუშევრობას, ხოლო ეს წინეთ წარმოუდგენელი რაოდენობა უკვე გადაიქცა ისეთ თვისებათ, რაიცა ებრძვის თვით კაპიტალისტურ დაგროვებას, მთელ მის სისტემას და მაშასადამე აღარ შეესაბამება მის საარსებო ინტერესებს. კაპიტალისტურმა წარმოებამ წარმოშვა დღეს ისეთი სარეზერვო არმია, რომელიც ვერ თავსდება მის ჩარჩოებში, არ შეიცავს მისი განვითარების «საყოველთაო კანონს» და ამიტომ მიილტვის მის შემცირებისაკენ, «საყოველთაო კანონის» დონემდე დაყვანისაკენ. აქედან დაიბადა აურაცხელი პროექტები, რჩევები, კომისიები, ვიზიტები, ნაჩქარევი არჩევნები, პლანები და იმედები. ეს სიტყვების და გეგმების კორიანტელი ბადებს საზოგადოებაში მრავალნაირ ილიუზიებს. საქმეთა გამოსწორებას დღედღეზე ელოდებიან, ხოლო სინამდვილე კი დღითი დღე გაცრუებულ იმედებს იძლევა.

წინანდელ უმუშევრობას იძლეოდა მანქანური წარმოების განვითარება. ხდებოდა ახალი საზოგადოების ჩამოყალიბება ხელოსნურ და შინამრეწველურ წარმოებათა დანგრევით, პროლეტარიატის და საშუალო კლასების აღორძინებით. ამ პროცესში ძირითადი კაპიტალი ვითარდება მუდამ გაცილებით უფრო მეტათ, ვინემ ცვალებადი კაპიტალი, რის შედეგია მუშა-ხელის განთავისუფლება სამუშაოსაგან, მისი სათარიგოთ გადაქცევა.

დღევანდელ უმუშევრობის მამოძრავებელი ძალაა იგივე ეკონომიური ტენდენცია კაპიტალისტური სისტემისა, მაგრამ აქ ის აღწევს ისეთ რაოდენობას, რომ ემუქრება თვით კაპიტალის ბატონობას. ომის შემდეგ გაბატონებული მაშინიზმი და მექანიზაცია, ეს მუდმივი კაპიტალის საზღაპროთ გაზრდა ბუნებრივი აუცილებლობით ისვრის მრავალ მუშათა ფენებს წარმოებიდან ქუჩაზე. ეს ისეთი აშკარა და საქვეყნო მოვლენაა, რომ დაიბადა სერიოზული მოძრაობა ბურჟუაზიულ წრეებში მაშინების წინააღმდეგ. მაგრამ ეს მაშინიზმის ასე უაღრესათ გაძლიერება წარმოადგენს არა გაცალკევებულ, თვით სისტემისაგან გამოყოფილ მოვლენას, არამედ ის თვით არის შედეგი სისტემის, განუყრელათ გადაჯაჭვულია გაბატონებულ ეკონომიურ სტრუქტურასან. ამ სტრუქტურის დამახასიათებელი ნიშანია გაბატონება მრეწველობაში და აღებ-მიცემობაში არა მრეწველის და ვაჭარის, როგორც ეს წინეთ იყო, არამედ ბანკირების და ფინანსისტების.

საიდან მიიღო ასეთი დიდი ძალა ფინანსისტებმა და ვის ხარჯზე.

კაპიტალისტების ეს წრე, როგორც იცით, არც ხნავს, არც თესავს, ხოლო სამკალი კი აუარებელი მოდის. მათი ბატონობის იარაღია ბირჟა, ე. ი. ის დიდი დუქანი, სადაც სწარმოებს ყიდვა-გაყიდვა ფასიანი ქაღალდების, აქციების, თამასუქების და ნაღდი ფულების. ერთი მაგალითი ათიათასში: ბელგიის ბირჟაზე სამმა დიდმა ბანკმა გაიტანეს ახლათ დაარსებული ქიმიური საზოგადოების აქციები, ღირებული თითო 500 ფრ. იმდენი ქებათა-ქება შეასხეს პრესაში ამ ახალ სიმდიდრეს, ისეთი უშველებელი რეკლამა მოაჭახრაკეს, რომ სულ მოკლე ხანში აქციის ფასები თუთხმეტჯერ გაიზარდა, ხუთასი ფრანკი უცებ გადაიქცა შვიდათას ხუთას ფრანკათ. მთელი ქაღალდების ღირებულებამ მიაღწია ორ მილიარდს. ეს იყო 1929 წ. შემდეგ იწყება დაქანება, მისი ორი მილიარდი უკვე ჩამოქვეითდა 600 მილიონამდე. ვის დაეკარგა ამოდენა თახხა? რასაკვირველია, არა გამყიდველთ, მეპატრონე-ბანკებს, არამედ ბრიყვ ხალხს, რომელმაც დაიჯერა და აწეულ ფასებში თამასუქები იყიდა. აი ეს საბირჟო ფასების აწევა და დაწევა არის მთავარი იარაღი ფინანსისტების გამდიდრების და ხალხის დარბევის. ამ ბრძოლაში მარცხდება წვრილმალი ბანკები და ახლად გამომცხვარი ფინანსისტები. აქაც მძლავრი ამარცხებს სუსტს და ხდება ფინანსების კონცენტრაცია მცირე ჯგუფის ხელში. შეერთებულ შტატებში ფულის მეფეთა რიცხვი უდრის არა უმეტეს 50 ოჯახისა, რომელნიც ერთმანეთან მჭიდროთ გადაკავშირებულია პიროვნულათ და მათი ბანკების საშუალებით. ესენი არავითარი კრიზისით არ ზარალობენ, ყველა კრიზისი მათ სასარგებლოთ თავდება. ამ ხანათ არსებობს ნამდვილი ინტერნაციონალი დიდი ფინანსებისა.

ამნაირათ, დიდი ბანკები გაბატონდენ მსოფლიო ეკონომიკაში. ამას მოყვა შეცვლა არა მარტო საწარმოვო ურთიერთობის, არამედ თვით საზოგადოების სტრუქტურისაც. რაკი ამ პროცესში იცარცვება ფასიანი ქაღალდების მყიდველები, ხოლო ესენი უმთავრესათ საშუალო კლასებია, ცხადია ამით ეს კლასები ინგრევიან და პროლეტარულ მდგომარეობაში ვარდებიან. ჩვენ თვალწინ ხდება უდიდესი საზოგადოებრივი ევოლიუცია, თანდათანი გაქრობა დამოუკიდებელი, მოსაქმე საშუალო ბურჟუაზიის და მისი წვრილ-ბურჟუაზიასა და მუშათა კლასში გაღესვა. აქედან უმუშევართა რიცხვის გადიდება.

ფულის კონცენტრაცია მცირე რიცხვი პლუტოკრატიის ხელში იწვევს კონცენტრაციას ბანკებისას, საწარმოვო დაწესებულების, საქმის რაციონალიზაციას, ერთი სიტყვით საწარმოვო ხარჯების შემცირებას. ამ გზით სამსახურს კარგავს მრავალი ხალხი და უმუშევართა ზღვას უერთდება.

საზოგადოებრივი ურთიერთობა შეიცვალა. დღევანდელი საზოგადოება აღარ გავს ომის წინანდელ საზოგადოებას. შუათანა კლასი იდევნება მსოფლიო ეკონომიიდან და რჩება ორი დიდი მოპირდაპირე ბანაკი: ერთი მუჭა პლუტოკრატია და გაპროლეტარებული მასა, რომელთა შორის უთავბოლოთ დაეხეტება გაცარცული მესაკუთრენი. ცხადია, უმუშევრობას, ე. ი. წარმოების შემცირებას ქმნის თვით კაპიტალისტური განვითარება, მისი უკანასკნელი, პლუტოკრატიული ეტაპი.

სამრეწველო ქვეყნებმა დაკარგეს შორეული ბაზრები. აგრარიული ქვეყნები მათ გამოეთიშენ და თვით შეუდგენ მრეწველობის მოწყობას. ევროპას დაეკარგა დაახლოვებით მილიარდი მუშტარი (ჩინეთი, ინდოეთი, რუსეთი და სხ.). მაგრამ კაპიტალმა თავისთვის იშოვა ჩინებული გამოსავალი, მან თავი მოიყარა ფინანსისტების ხელში, რომელთაც საწველ ფურათ თავისივე ხალხი გახადეს. ფრანგი, ინგლისელი, ამერიკელი გაცილებით უფრო მეტათ იყვლიფება თავისავე კაპიტალით, ვინემ რომელიმე მწვანე, წითელი თუ შავკანიანი. და რაც გასაკვირალია, ამ არა-ევროპიელთ გაცილებით უფრო მჭრელი თავის დაცვის იარაღი აქვთ, ვინემ ევროპიელთ: ეს იარაღია ნაციონალური იდეია, დამოუკიდებლობა. დარბეული ევროპიელისათვის ასეთივე როლი უნდა ეკუთვნოდეს სოციალურ იდეიას. მაგრამ რა რიგ სიძნელეს წარმოადგენს ამ იდეის გამათავისუფლებელ დვრიტეთ გადაქცევა დაგვანახა ინგლისის უკანასკნელ არჩევნებმა.

შუათანა კლასებმა თავის დასაცავათ მიმართეს ერთ იარაღს—საკრედიტო დაწესებულებათა ბოიკოტს, მათთვის უნდობლობის გამოცხადებას. ეს არის ამ ჟამათ ამ ფენების სოციალური იდეია, რაიცა აძლევს შინაარს სხვადასხვა სოციალურ პროექტებს. ამათგან მთავარია ოქროს განაწილების და მოხმარის გაწესრიგება. ლავალის და ჰუვერის ოქტომბრის მოლაპარაკება სწორეთ ამ ნიადაგზე შეთანხმებით დასრულდა. ამით დაგმობილია ძველი ლიბერალური ეკონომიური პრინციპი—კერძო პირთა საქმიანობაში სახელმწიფოს ჩაურევლობა და აღიარებულია სოციალიზმის ძირითადი მოთხოვნილება—გაწესრიგებული, პლანით წარმოებული სახალხო მეურნეობის იდეია. მაგრამ ამ იდეის ასე ვიწრო ჩარჩოში ამუშავება, ფულის კრიზისის ფულის ტრიალით ახსნა ერთი იმ უტოპიათაგანია, რაიცა ყოველთვის დაბნეულ საზოგადოებაში მრავლათ იჩეკება. ბანკები იხურება არა იმიტომ რომ მათ აკლია კაპიტალი, არამედ იმიტომ რომ ამ კაპიტალს საქმე არ აქვს, ბაზარი მცირეა, ზედმეტი ნაწარმოები დიდია—ერთი სიტყვით წარმოება დაცემულია; ამას რამდენიც გნებავს აყარეთ ოქრო—აქედან რა გამოვა, ეს ლითონი არ იჭმება, არ ისმევა; მას თავისი სავალი გზა აქვს—მივიდეს იქ, სადაც საქმეა, დაიმალოს იქიდან, სადაც უსაქმობაა. მაშასადამე პლანი უნდა იყოს პირველ ყოვლისა წარმოებაში, ეკონომიურ საქმიანობაში, რაზედაც დაშენდება ოქროს გაწესრიგებაც.

იდეია გაწესრიგებული მეურნეობისა ერთობ ფართოთ მოედვა ამ ჟამათ საფრანგეთის ლიტერატურას. გამოდის სპეციალური ორგანოც («პლანები», Plans) ამ აზრების გასავრცელებლათ. ზოგი ითხოვს საფრანგეთ-გერმანიის კონფედერაციას, ზოგი ერთ მსოფლიო ვალიუტას, ევროპის საბაჟო მთლიანობას, აფრიკის ინდუსტრიალიზაციის დაწყებას. შავკანიანების ევროპის მრეწველობის კლიენტებათ გადაქცევას, სადამოჟნო საზღვრების მოშლას—ერთი სიტყვით ყველა გვერდს უხვევს ძირითად პრობლემას—თვით წარმოების გაწესრიგებას, პირველყოვლისა ევროპიელთათვის. შუათანა კლასები ნივთიერათ ინგრევა, მაგრამ მისი იდეოლოგია კიდევ ძველი რჩება. მატერიალური ცვლილება სწრაფია, გონებრივი ცვლილება ნელი. ერთი მოვლენა კი უეჭველია. ეკონომია გაწესრიგებული, პლანით წარმოებული დღეს აღარ იწვევს ისეთ შემოტევას, როგორათაც წინეთ. პირიქით, ამ გზას დაადგენ თვით კაპიტალისტები ახალი ტრესტების და მონოპოლიების დაარსებით და ფართო ნაციონალურ და ინტერნაციონალურ მასშტაბით თავის დარგში გაპლანულური წარმოების შემოღებით. მაგრამ ეს ჩინებული აზრი კაპიტალისტური საშუალებებით განხორციელებული იძლევა ისეთსავე უარყოფით შედეგებს, როგორსაც იძლევა იგივე იდეია ბოლშევიკების მიერ გატარებულ—ეკონომიურ და ფინანსიურ კრიზისებს.

ეს ორი ერთნაირი დასკვნა გამომდინარეობს ორ სხვადასხვა მეთოდისაგან: კაპიტალისტური ტრესტები იძლევიან იმდენ საქონელს, რომ საზოგადოებას არ ძალუძს მისი მოხმარა. აქედან, წარმოების შემცირება, უმუშევრობა, დამშევა. ბოლშევიკური ტრესტები ისე ცოტას ამზადებენ, რომ საქონლის მუდმივი ნაკლებობით დამშეულია მთელი საზოგადოება, ყველა კლასი გამოუკლებლივ. კრიზისის დასაძლევათ აუცილებელია დაძლევა როგორც კაპიტალისტური ზედმეტი წარმოების, ისე ბოლშევიკური ნაკლები წარმოების. არც ბურჟუაზიული, არც ბოლშევიკური მეურნეობა; მთელი სახალხო ნაწარმოების აწყობა ხალხის მოთხოვნილებისამებრ თვით ხალხის მიერ—აი ერთათ-ერთი გზა კაპიტალისტური და საბჭოთა ქვეყნების გამოსაყვანათ დღევანდელი კრიზისიდან.

ეს ჩვენი დროშაა, დროშა სოციალური დემოკრატიის.

რა გამოირკვა

პროცესმა გამოარკვია ბევრი რამ. გამოირკვა პირველ ყოვლისა ის, რომ საფრანგეთის საზოგადო აზრი განაგრძობს მხარის დაჭერას საქართველოს და მის განმათავისუფლებელ მოძრაობისათვის. მან გაამართლა ამ მოძრაობის მოწინააღმდეგის—ვეშაპელის მკვლელი, მან გაამტყუნა ამ მოძრაობის მებაირაღის—რამიშვილის მკვლელი. სენის ნაფიცი მსაჯულები ცნობილია თავისი ლმობიერებით პოლიტიკურ დამნაშავეთადმი; მათ გაამართლეს მკვლელი ჟორესის, პეტლიურის და სხვა მრავალი პოლიტიკური მოღვაწეების. ნ. რამიშვილი ამათ შორის ერთი იშვიათი გამონაკლისია, ახლანდელი სასამართლოს ვერდიკტი ერთი მნიშვნელოვანი ხმამაღალი გაფრთხილებაა, გაფრთხილებაა მათდამი, ვინც ქართულ საქმეს ღალატობს, მისთვის მებრძოლთ და თავდადებულთ ლაჩრულათ ზურგიდან ესხმისთ. პროცესმა ჩვენი საქმე გაამაგრა, ჩვენი პოლიტიკა გაამართლა, ჩვენი მდგომარეობა გააძლიერა. ეს უდაოა, ეს სავსებით გამორკვეულია. ნ. რამიშვილმა სამარიდანაც დაგვეხმარა, მისმა დაუშრეტელმა ენერგიამ მიწიდანაც ამოხეთქა, მისმა თავის დადებამ და სპეტაკმა პიროვნებამ საზოგადოება მოხიბლა და ჩვენი საქმის სიწმიდეში დაარწმუნა.

პროცესზე გამოირკვა ნ. რამიშვილის დიდებული მორალური სახეობა, მისი უმწიკვლო ცხოვრება, მისი უანგარობა, მისი კეთილშობილური აღმაფრენა და მთელი თავისი არსებით საზოგადო საქმისადმი მსხვერპლის მიტანა. მისი კერძო ცხოვრების აღწერა ფრანგების მიერ იყო მისი უდიდესი ტრიუმფი, უდიდესი გამარჯვება მისი იშვიათი ადამიანობის. ლაჩარი მკვლელი და მისი დამცველები ჩაჩუმდენ და ბოლოს თვით ტორესი იძულებული იყო კვდარის წინაშე ქუდი მოეხადა და ეთქვა: მე ქუდს ვიხდი ამ დიდი ადამიანის წინაშე დაუცხადებლომა თანაგრძნობას მის ქვრივსო. ნ. რამიშვილი პროცესიდან გამოვიდა გაბრწყინვებული, შარავანდედით მოსილი, თავაწეული. სენის მსაჯულებმა ეს დაადასტურეს—ასეთი ადამიანის დროშა არ შეიძლება არ იყოს წმინდა დროშაო. ნ. რამიშვილი საფლავიდან განაგრძობს ჩვენთვის მუშაობს; ის დღესაც პირნათლათ ასრულებს ნაკისრ მოვალეობას და გვინათებს ამ უცხოეთში ჩვენ წმინდა საქმეს. პროცესის კვირე იყო მთელი პრესისათვის საქართველოს კვირე. ჩვენ გვშინჯავდენ ყოველი მხრით. პოლიტიკურათ, პიროვნულათ, ზნეობრივათ, კულტურულათ. ამ დიდ საჯარო გამოცდაში ეგზამენი დავიჭირეთ, დავიჭირეთ ნ. რამიშვილის წყალობით, მან გვიმეთაურა, უმეთაურა მთელ საქართველოს. ამ პიროვნებასან შედუღდა ქართული საქმე, ქართველის სახელი და ორივე ერთათ გამოვიდა გამარჯვებული. ნათელმა სძლია ბოროტი.

ეს გამოირკვა ისეთი სიცხადით, რომ მტერმა ველარ გაბედა ამ საერთო სურათში რაიმე დისონანსის შეტანა, რაიმე ბრალდების და საბუთის წამოყენება. და განა არ იყვენ მომზადებულნი? იყვენ და ვერ გაბედეს, მკვლელის ვექილებმა უარი სთქვეს იმ ორ ქართველ მოწმეზედაც, რომელნიც სასამართლოში გამოცხადდენ ჰანუყვაძის დასაცავათ. სპირიდონ კედია და ვილაც გეგელია დარჩენ პირგაშავებულნი. და აქ გამოირკვა ერთი ბნელი, შავბნელი მხარე ქართველი ემიგრაციის. გამოჩნდა რომ პოლიტიკურ ემიგრაციაში ყოფილან ისეთებიც რომელნიც ამართლებენ ვერაგულ აქტს, ხელს უწოდებენ ჩვენ მოსისხლე მტერთ და გაუტიფრებულნი სასამართლოშიაც კი გამოცხადდენ ამ თავისი ვინაობის საჯაროთ გამოსარკვევათ. და თუ ეს ვერ მოახერხეს, თუ ამ ხალხის თვით შეფი კედია დარჩა პირჩალაამოვლებული, ამის ბრალი ედება არა მას, არამედ მის ფრანგ ვექილს, რომელმაც ველარ გაბედა კედიას მოწმობაზე დაყრდნობა. რატომ? საკმარისია მოვიყვანოთ ვექილთა დიალოგი: ჩვენი ვექილი მორო-ჯიაფერი აცხადებს, რომ ის უარს ამბობს დანარჩენ მოწმეებზე თუ ამის თანახმაა მოწინააღმდეგე მხარეო.

დელატრი: თანახმა ვარ იმ პირობით, რომ მოვისმინოთ ჩვენი მოწმე კედია, რომელიც არის შეფი მთელი ნაც.-დემოკ. პარტიის და რომლის ირგვლივ თავს იყრის დიდი ხალხი.

მორო-ჯიაფერი უჩვენებს თითით—კედია მარტო არის, პარტიის ნამდვილი წარმომადგენელია გვაზავა, ის ჩვენი მოწმეა და თუ კედიას დაკითხავთ, ვითხოვ გვაზავასაც დავკითხოთო.

დელატრი უკან იხევს და უარს ამბობს კედიაზე. მან კარგათ იცოდა რომ კედიას დოსიეში აღმოჩნდებოდა ბევრი რამ საძრახისი, პარტიიდან გარიცხვა, ყალბი ჩერვონცების ნაშხეფი და სხ.

პროცესზე მოხდა კედიას მორალური დამარცხება, მისი მოწმობა მისმა ვექილმაც ალარ მოისურვა, გვაზავას აჩრდილით შეშინებულმა.

პროცესმა ნათელჰყო ამ ჯგუფის მუშაობა პროცესამდეც. სასამართლომ დაკითხა ქერქაძის ჩვენების გამო გეგელიას. ქერქაძე მას და მასთან ერთათ მთელ ჯგუფს აბრალებდა, რომ ის მათ შეაშინეს, ძალათ წაიყვანეს ტორესთან და შემდეგ პოლიციაში პირველი ჩვენების გადასათქმელათ. გეგელია უარს ამბობს ამ ბრალდებაზე და თავის მხრით უჩვენებს, რომ მან მხოლოდ ურჩია ქერქაძეს წადი პოლიციაში და განაცხადე ქართულ საელჩოში ძალით დამაწერიეს პირველი ჩვენებაო! (იხ. ანგარიში) ე. ი. მან ურჩია ქერქაძეს, წადი დააბეზღე საელჩოვო! და ეს იმ დროს როცა ამ საელჩოს ებრძვის მოსკოვი დიდი ხანია, როცა მისი საკითხი ხელახლა დასმულია, აი ამ დროს კედიას კაცი მის წინააღმდეგ ამუშავებს ქერქაძეს. ამით თავისი ნათესაობა ბოლშევიკებთან აშკარათ დაამტკიცეს. ნამდვილი ქართული პატრიოტი განა ასე მოიქცეოდა? პირიქით, ის ურჩევდა ქერქაძეს არ გაბედო, საელჩო არაფერში ჩარიოვო და თანაც ამ ამბავს საელჩოს გააგებინებდა. გეგელია კი პირიქით აკეთებს ამ ბნელ საქმეს, ხელს უწყობს დანოსის შეტანაში საელჩოზე და ამ ამბავს მალავს, არავის არ ატყობინებს. სამაგიეროთ გამოჩნდა ერთი კაცი რომელმაც არ დამალა და მაშინვე ეს ამბავი წერილობით გაგვაგებია. ეს პირია თვით ქერქაძე. ის 12 აგვისტოს თარიღით იტყობინება, გეგელიას მისი მეგობრების ძალდატანებით ასეთი განცხადება გააკეთა ჯერ ტორესთან და შემდეგ პოლიციაში, მაგრამ ეს განცხადება არ შეესაბამება სიმართლესო. ახლა გეგელია ამტკიცებს, რომ მან მხოლოდ ურჩია ამ განცხადების პოლიციაში შეტანა, ხოლო თვით განცხადება კი ქერქაძის საკუთარი აზრი იყოვო! თუ მისი საკუთარი აზრი იყო, რატომ მაშინვე ეს მან გვამცნო, ხოლო გეგელიამ კი დამალა? და თუ მართლა მისი აზრი იყო, რატომ გეგელიამ ურჩია პოლიციაში წადიო? რა აწუხებდა ამ ხალხს? ქერქაძის ჩვენება შეეხებოდა არა მათ, არამედ ბოლშევიკებს, მოსკოვის საკონსულოს, რათ დასჭირდათ მათ ბოლშევიკების დაცვა?

პროცესმა საბოლაოთ გამოარკვია, რომ კედიას ამქარი დგას მებრძოლი საქართველოს მოპირდაპირე ხაზზე, ისინი მფარველობენ ბოლშევიკებს, რამიშვილის მკვლელს, დაკარგული აქვთ პოლიტიკური რიგიანობის ყველა წესები. ამათგან სასტიკი გამიჯვნა, მათი სამარცხვინო ბოძზე გაკვრა უნდა მოხდეს დაუყონებლივ მთელ ფრონტზე, როგორც აქ, უცხოეთში, ისე იქ, საქართველოში. საქართველოს პოლიტიკურ ოჯახში მათ ადგილი არ აქვთ...

◆

სასამართლოდან

ნ. რამიშვილის მკვლელის გასამართლება დაიწყო 12 ამ თვეს 12 ნაფიც მსაჯულების წინაშე. მისი დამცველები იყვენ სამი ვექილი ცნობილი ბოლშევიკების ადვოკატის ტორესის მეთაურობით. სამოქალაქო მხარის დამცველი მორო-ჯიაფერი. პირველათ წაკითხულ იქნა საბრალდებულო ოქმი რომლის მოკლე შინაარსი ასეთია: გასული წლის შვიდ დეკემბერს დაახლოვებით სამ საათზე გობლენის ქუჩაზე მიმალ რამიშვილს გვერდიდან თავს დაესხა ვილაც უცნობი და დაახალა სამი ტყვია ავტომატიური რევოლვერით. რამიშვილი წაიქცა. მასთან მიმავალი მენაღარაშვილი გამოეკიდა მკვლელს, ჩაიგდო ხელში და მასაც მკვლელმა ესროლა რევოლვერი მოსაკლავათ, მაგრამ მენაღარაშვილი გადარჩა, მხოლოდ საფეთქელთან თავი გაეკაწრა. მან დაიმორჩილა მკვლელი და მიცვენილ ფრანგებთან ერთად აყარა იარაღი. მკვლელი აღმოჩნდა პარმენ ჰანუყვაძე. მაშასადამე მას ბრალდება წინდაწინ მოფიქრებით და გადაწყვეტილებით რამიშვილის მოკვლა, ხოლო მენაღარაშვილის მოკვლის ცდა. წინასწარ დაკითხვაზე ბრალდებულმა თავისი მოქმედების მიზეზათ წამოაყენა ორი დებულება: რამიშვილზე შური იძია პირადათ, ვინაიდან მისი მეოხებით ის დათხოვნილ იქნა სამუშაოდან ოდენკურში. მან არ გამიშვა საქართველოში და დაღუპა საქართველო.

სასამართლოში ეს პირველი ჩვენება დაადასტურა: რამიშვილი განძრახ მოვკალი, მენაღარაშვილს ვესროლე შეგნებულათ როცა ის ჩაერია ჩემს საქმეშიო.

თავმჯდომარე: რა შუაშია რამიშვილი ოდენკურიდან გამოძევებაში, როცა ეს იქაურ ქართველების კომიტეტმა მოიმოქმედა?

ბრალდებული: რამიშვილმა დაადასტურა ეს განჩინება.

თავმჯდომარე: თქვენ ხომ იცით რომ კომიტეტი გაძლევდათ გზის ფულათ 250 ფრ., ხოლო რამიშვილმა კიდევ ამდენი დაამატებია.

ბრალდებული: ეს მე არ ვიცი.

თავმჯდომარე: რანაირათ შეეძლო რამიშვილს საქართველოში თქვენი გაგზავნა? საქართველოს ლეგაციის პასპორტებს ხომ არ სცნობს საბჭოთა მთავრობა, ხოლო არა ლეგალურათ გაგზავნა შეეძლო მხოლოდ ისეთი პირის, რომელსაც ენდობოდა. თქვენ კი თქვენივე სიტყვით არ გენდობოდათ. რა საბუთი გაქვთ თქვენი ბრალდების დასამტკიცებლათ?

ბრალდებული: ამ საბუთებს ჩემს სიტყვებში იპოვით.

თავმჯდომარე: მიგაჩნიათ რამიშვილი ერთგულ პატრიოტათ?

ბრალდებული: ის იყო სოციალდემოკრატი, ე. ი. ინტერნაციონალისტი, ხოლო ინტერნაციონალისტებს სამშობლო არ აქვთ, ისინი არ შეიძლება იყვენ პატრიოტები.

თავმჯდომარე: ოქმიდან სჩანს რომ რამიშვილი არაფერ შუაში არ არის თქვენი ოდენკურში სამუშაოდან დათხოვაში.

ბრალდებული: ის ჩამოვიდა საგანგებოთ ოდენკურში ჩემს დასათხოვათ.

თავმჯდომარე: თქვენ კარგათ იცით, რომ რამიშვილი ჩავიდა ოდენკურში შემდეგ თქვენი იქიდან დათხოვისა. თქვენ იცით აგრეთვე რომ ოდენკურის ქართველთა კომიტეტის თავმჯდომარე ჩინებული კაცია, ის იღებდა პასუხისგებას ზაოდის წინაშე ქართველებისათვის. ხოლო თქვენთვის პასუხისგება ვერ იტვირთა. გაფრთხილებთ რამიშვილი ჩავიდა ოდენკურში თქვენი დათხოვის ოცი დღის შემდეგ.

ვექილი მორო-ჯიაფერი: მე ვეკითხები არა ვექილს, არამედ ბრალდებულს: სად არის იმის საბუთი, რომ რამიშვილმა თქვენ რაიმე ვნება მოგიტანათ?

ბრალდებული: ის იყო ყველაფრის მეთაური. მას შეეძლო გაეკეთებია რაც უნდოდა.

მორო-ჯიაფერი: თქვენ ხომ იცით რომ პარიზში საქართველოს ლეგაციამ იშუამდგომლა ქარხნის გამგეობის წინაშე თქვენს მისაღებათ რამიშვილის რეკომენდაციით? ამის საბუთები ხელთა მაქვს.

თავმჯდომარე: თქვენი ორივე მიზეზი მე მეჩვენება მეტად მსუბუქათ. გამოტყდით, არ ქონდათ რაიმე სხვა მიზეზი? ეგება უკმაყოფილო იყავით თქვენ თანამემამულეებზე საზოგადოთ? ან შეიძლება რამიშვილი იმიტომ მოკალით რომ ის იყო საუკეთესო წარმომადგენელი ქართული საქმის?

ბრალდ. სრულიადაც არა, წინააღმდეგ, მე ის მიმაჩდა საქართველოს საშინელ მტერათ.

დაიწყო მოწმეთა ჩვენება.

მენაღარიშვილი აჩვენებს რაც ნახა. საიდახაც ირკვევა რომ მკვლელი აპირებდა გაქცევას და რადგან მოწმემ მას ეს არ დაანება და ხელში ჩაიგდო—მასაც ესროლა.

ტორესი: პირველ ჩვენებაში თქვენ თქვით. რომ ჰანუყვაძე საბჭოთა აგენტია, რა საბუთი გაქვთ ამისო.

მენაღ. მე არც მაშინ და არც ეხლა არ ვხედავ სხვა ახსნას ამ საშინელი დანაშაულობისას. მისი გაქრობა მხოლოდ ბოლშევიკების ინტერესი იყო, ეს ჩვენი საერთო აზრია.

ტორესი აქ უტევს მოწმეს, აბრალებს ძალადობის მოხდენას მოწმე ქერქაძეზე და კითხულობს პოლიციის ოქმს, სადაც ნათქვამია: ქერქაძემ განაცხადა, რომ მისი პირველი ჩვენება, ვითომ ჰანუყვაძე საბჭოთა საკონსულოში დადიოდაო, ძალით დამაწერია მენაღარიშვილმა ლეგაციაშიო.

მენაღარიშვ. ეს სიცრუეა თავიდან ბოლომდე.

ეს ინციდენტი ამით დასრულდა.

შეეკითხენ მოწმე ჟან მარტენს, «ჟენევის გაზეთის» რედაქტორს, რომელიც იყო ჩვენში და წიგნიც დასწერა ჩვენს რესპუბლიკაზე. ის ამბობს, რომ რამიშვილი იყო საქართველოს ნაციონალური მოძრაობის სული, იყო გასაშტერებელი წეს-რიგი, როცა ირგვლივ ყველაფერი ინგრეოდა, რამიშვილის ენერგია და მუყაითობა იყო დაუშრეტელი და სხ.

თავმჯდომარე ეკითხება ბრალდებულს—თანახმა ხართ მოწმის? პასუხი: საქართველო თავისუფალი იყო ორ წელიწადს, ხოლო რამიშვილმა ის შემდეგ ჩააბარა ბოლშევიკებს.

სხდომა იხურება.

მეორე დღეს, 13 ამ თვეს გრძელდება მოწმეთა დაკითხვა: პირველათ ლაპარაკობს მოწმე მარკე, პარლამენტის დეპუტატი, ბორდოს ქალაქის თავი, რომელიც იყო ჩვენში სოციალისტურ დელეგაციასან 1920 წ. ის ვრცლათ ასწერს თავისუფალ საქართველოს და ნ. რამიშვილის როლს. «მე ვნახე რამიშვილი, გარემოცული მთელი ხალხის თანაგრძნობით. მისი გავლენა იყო უდიდესი».

მორო-ჯიაფერი: ბრალდებული ამბობს, რომ რამიშვილი მხოლოდ თავის ჯიბეზე და თავის მუცელზე ფიქრობდაო. რას იტყვით ამაზე?

მარკე. ეს ცილისწამებაა, რაიცა ანადგურებს მხოლოდ იმას, ვინც ამას ლაპარაკობს. არა, რამიშვილი ემიგრაციაშიაც დარჩა ისეთი როგორიც იყო—ღრმა რწმენით თავის ქვეყნის განთავისუფლებაში. ის იბრძოდა თავისუფალი, დამოუკიდებელი საქართველოსათვის...

ჰიუსმანსი. ბელგიელი სოციალისტი, ჩვენში ნამყოფი, ასწერს თავისუფალ საქართველოს, მის წესებს, მის რეფორმებს, ნ. რამიშვილის როლს, ნდობას და სიყვარულს, რაც მან დაიმსახურა ქართველ ხალხში. «მე ვხედავდი რამიშვილს აქ უცხოეთშიაც, ისეთსავე მხნეს, ენტუზიასტს და მოსაქმეს, როგორათაც ვხედავდი სამშობლოშიო»...

სვ. მდივანი ლაპარაკობს როგორც ს.-ფედერალისტების წარმომადგენელი და დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის ამხანაგი. აცნობს სამსჯავროს ნაციონალური ფრონტის არსებობას, მის პროგრამას, მის მიზანს და ბრძოლას და ამაში ნ. რამიშვილის როლს, როგორც მეთაურის, ხელმძღვანელის და მისი აზრების ენერგიული გამტარებელის.

ეტყობოდათ ნაფიცი მსაჯულები თანდათან ერკვეოდენ საქართველოს საკითხში, მის ბედში და უბედობაში; თანაც მათ სამსჯავროს თავმჯდომარემ მთელი ლექცია წაუკითხა საქართველოს გეოგრაფიაზე, კულტურაზე და ისტორიაზე. ნ. რამიშვილის როლი მკაფიოთ გამოსჭვივოდა. მაგრამ ერთი საკითხი მაინც იწვევდა ეჭვებს და სასამართლო ვერ ერკვეოდა; ეს საკითხია ოდენკურის, რამიშვილმა თუ მართლა პირადათ შური იძია ჰანუყვაძეზე. აი ეს საკითხი სავსებით გაამუქა საბუთებით ხელში ოდენკურის ქართველ კოლონიის თავმჯდომარემ ვლ. ბაქრაძემ. მისი საათნახევარის ჩვენება იყო უმწვერვალესი წერტილი მთელი სხდომის და ამიტომ მას აქ მოვიყვანთ ცოტა დაწვრილებით.

ვლ. ბაქრაძე. მე ვიმყოფებოდი 1925 წლიდან ოდენკურში, სადაც მიმიწვიეს იქ პეჟოს ქარხანაში მომუშავე ქართველებმა როგოც თარჯიმანი და დამხმარე ქარხნის ადმინისტრაციის და სხვადასხვა დაწესებულებების წინაშე, რადგან თითქმის არც ერთ მათგანმა ფრანგული არ იცოდა. ამ დროიდან ვიცნობ ჰანუყვაძეს, ის არის უხეში, ბოროტი, გაუტანელი, გულჩათხრობილი და გულდიდა. ამხანაგებს ვერ ეგუებოდა და ვერ იტანდა. ხშირად მოსდიოდა შეტაკება და წამსვე ჩხუბზე და დარტყმაზე გადადიოდა. რამდენიმე ასეთ შემთხვევის შემდეგ, ის თავს დაესხა 1926 წ. დასაწყისში თავის თანამემამულე ბოცვაძეს, სცემა მას და რევოლვერი დაუმიზნა. ამან აავსო მისი ამხანაგების მოთმინების ფიალა და მათ შორის დიდი აღელვება გამოიწვია, რის შედეგი იყო ჰანუყვაძის გამორიცხვა ადგილობრივ სოციალდემოკრატიულ ორგანიზაციიდან. ეს დადგენილება ჰანუყვაძეს გამოუცხადა ორგანიზაციის თავმჯდომარემ, კ. შარაბიძემ, რის გამოც ჰანუყვაძემ ის მიიჩნია მთავარ პასუხისმგებელათ ამ გამორიცხვისა, სიკვდილით დაემუქრა მას და დაუწყო დევნა. უბედურების თავიდან ასაცილებლათ, ჩვენი განმეორებითი დაჟინებით შარაბიძე ვაიძულეთ წასულიყო ოდენკურიდან. არ გასულა ამის შემდეგ ერთი თვე რომ ჰანუყვაძე გაედევნა შარბბიძეს პარიზში და იქ რამდენჯერმე სცადა მასზე თავდასხმა. ხოლო როცა 1929 წელს შარაბიძე ჩამოვიდა ოდენკურში, პატარა ხანში ჰანუყვაძეც მობრუნდა, რამაც დიდი უკმაყოფილება და აღელვება გამოიწვია იქაურ ქართველთა შორის. ყველა დარწმუნებული იყო ის შარაბიძესთან ანგარიშის გასასწორებლათ მობრუნდა. მე შევხვდი ჰანუყვაძეს ქართულ სამკითხველოში, შევეკითხე რას აპირებდა. მითხრა რამდენიმე დღით ჩამოვედი და უკან გავბრუნდებიო. მართლაც რამდენიმე დღე აღარ მინახავს. მითხრეს პარიზში წავიდაო. მაგრამ მალე ისევ გამოჩნდა და შევიტყვე რომ ქარხანაშიც შესულიყო და მუშაობა დაეწყო. ვიყავი სხვა საქმეზე ქარხნის ადმინისტრაციასთან და სხვათა შორის დამისვეს კითხვა: აიღებ თუ არა ჰანუყვაძის თავდებობასო. მე უარი უთხარი. ამის შედეგი იყო ჰანუყვაძის სამუშაოდან დათხოვნა. მეორე დღეს ჰანუყვაძე შემომივარდა სამკითხველოში ლანძღვაგინებათ. ამის შემდეგ მე დავაყენე საკითხი ჩემი მოქმედების შესახებ ოდენკურის ქართველ ასოციაციაში, რომელშიც შედიოდენ არა მარტო სოც. დემოკრატები, არამედ ყველა ოდენკურელი ქართველები, სხვადასხვა პარტიების წევრები. ამ კრებას დაესწრო ნოე რამიშვილი, პარიზიდან ახლად ჩამოსული არა ჰანუყვაძის საკითხისათვის, არამედ სულ სხვა საქმეებზე. მე დავაყენე საკითხი ჩემი პირადი მოქმედების შესახებ ჰანუყვაძის მიმართ. ნ. რამიშვილს არავითარი მონაწილეობა არ მიუღია ამ კითხვის გადაწყვეტაში, არც სიტყვა აუღია, არც ხმა მიუცია. 31 დამსწრე წევრებიდან 26 დაადასტურა ჩემი მოქმედება, მხოლოდ 5 მისცა ხმა წინააღმდეგ. ჰანუყვაძე იძულებული გახდა წასულიყო ოდენკურიდან, ითხოვდა მხოლოდ იქ ჩამოსვლაზე გაწეულ ხარჯების დაფარვას. ჩვენ შევაგროვეთ 250 ფრანკამდე, რამიშვლის ჩარევა ამ საქმეში იმით განისაზღვრებოდა, რომ მისი თხოვნით ამ თანხას [illegible]მატეთ და ჰანუყვაძეს 500 ფრანკი [illegible] ხელწერილი აქა მაქვს და შემიძლია სასამართლოს გადავცე.

აქ ჰანუყვაძის დამცველი ადვოკატი დელატრი ნებას აძლევს თავის თავს ბაქრაძის ჩვენებას უწოდოს «ტყუილის ქსელი», რასაც ეხლავ დავამტკიცებო. აღშფოთებული ბაქრაძე ესვრის მას: «მე ზიზღით ვხვდები თქვენს შეურაცყოფას, ჩემთვის საკმარისია რომ ჩემი სინდისი და ჭეშმარიტება ჩემს მხარეზეაო». დელატრი ცოტა არ იყოს უკან იხევს—ტყუილი არ მიხმარია, სიტყვა არა—სწორი ვიხმარეო და ცდილობს დაიჭიროს ბაქრაძე წინააღმდეგობაში: წინასწარ გამოძიებაში უჩვენა—ჰანუყვაძე სოციალდემოკრატიულ ორგანიზაციიდან იქნა გამორიცხულიო, ეხლა კი ლაპარაკობს ქართველთა ასოციაციაზე, სადა თითქოს სხვადასხვა პარტიათა წევრები შედიანო.

ბაქრაძე ადვილად ამხელს ამ ადვოკატის გაურკვევლობას საქმეში: უხსნის მას რომ აქ არავითარი წინააღმდეგობა არ არის, რომ ჰანუყვაძე მართლაც სოციალდემოკრატიულმა ორგანიზმციამ გამორიცხა, როგორც ეს მოწმემ აღნიშნა როგორც წინასწარ გამოძიებაში, აგრეთვე სასამართლოში. ხოლო ამ გამორიცხვას ადგილი ჰქონდა 1926 წელში, როცა ასოციაცია ჯერ არ არსებობდა. ის შემდეგ დაარსდა და მის სხდომაზე გაირჩა მისი, ბაქრაძის მიერ გადადგმული ნაბიჯი ჯანუყვაძის შესახებ ქარხნის ადმინისტრაციის წინაშე, რასაც ადგილი ჰქონდა 1929 წ., როცა ჰანუყვაძე პარიზიდან მობრუნდა. დელატრის მიერ ამ დატების არევამ შეუქმნა მას წინააღმდეგობის მთაბეჭდილება.

ბაქრაძეს უყენებენ მეორე საკითხს: იცის თუ არა მან რომ რამიშვილმა აღუთქვა ჰანუყვაძეს რეპატრიაცია (ე. ი. მისი სამშობლოში დაბრუნება)? მოწმე უპასუხებს, რომ მან ეს არ იცის და ვერც წარმოუდგენია როგორ უნდა დაჰპირებოდა ასეთ რამეს ნ. რამიშვილი ჰანუყვაძეს. აქაც დელატრი სცდილობს მის დაჭერას: აკი მოახდინა რამიშვილმა მისი დისშვილის და ორი კიდევ სხვის რეპატრიაციაო. ბაქრაძე კვლავ უმარტავს სამსჯავროს საქმის ნამდვილ ვითარებას: რეპატრიაციის, ე. ი. სამშობლოში ლეგალურად დაბრუნების უფლება და საშუალება დღევანდელ პირობებში არის მხოლოდ საბჭოთა საელჩოს და საკონსულოს ხელში, ყველასათვის ცხადია, რომ რამიშვილს არ შეეძლო დაპირებოდა ჰანუყვაძეს ამ გზით საქართველოში გაგზავნას. რაც შეეხება მეორე გზას—არალეგალურს, მართალია არის შემთხვევები, როცა ჩვენი ცენტრალური ორგანიზაციები აგზავნიან საქართველოში საიდუმლოთ რწმუნებულებს საიდუმლო დავალებით, მაგრამ, ერთი რომ ეს რეპატრიაცია არ არის—რადგან ეს რწმუნებულები უმეტეს შემთხვევაში უკანვე უნდა გამობრუნდენ, და მეორე—ესენი არიან განსაკუთრებულ ნდობით აღჭურვილი ხალხი, ჰანუყვაძის ნდობა კი არავის არ ჰქონდა და მით უმეტეს ნ. რამიშვილს. ამიტომ ყოვლად შეუძლებელია, რომ ეს უკანასკნელი მას დაპირებოდეს საქართველოში გაგზავნას.

სამსჯავროს თავმჯდომარე ჰკითხავს მოწმეს მიაყენა თუ არა რაიმე ბოროტება ან ვნება ჰანუყვაძეს რამიშვილმა. მოწმე უპასუხებს—არავითარი; რამიშვილი ჩაერია მხოლოდ ჰანუყვაძისთვის ფულის მიცემის საკითხში და აქაც მიგვაცემია მისთვის 500 ფრ. ჩვენ მიერ განზრახულ 250 ფრ. მაგიერ.

ბაქრაძის ჩვენების დროს მკვლელი ყოველივე სიმშვიდეს ჰკარგავს. მას ესმის, რომ ამ მოწმის ჩვენება არკვევს მისი ბედის გადამწყვეტ სინამდვილეს და თოფნაკრავივით ტრიალებს საბრალმდებლო სკამზე, ისვრის უდიერ და უწმაწურ რეპლიკებს, ლანძღვა-გინებას მოწმის მიმართ რუსულ-ქართულათ.

ჯიაფერი კვლავ ეკითხება ჰანუყვაძეს: რა საბუთი გქონდათ გეფიქრათ, რომ რამიშვილმა რაიმე ვნება მოგაყენათო? ჰანუყვაძე ამ მრავალჯერ გამეორებულ კითხვაზე ვერავითარ პასუხს ვერ იძლევა. მორო-ჯიაფერი აცხადებს, რომ ბრალდებელის ეს სიჩუმე გადამწყვეტია მისი ბედის და სთხოვს ნაფიც მსაჯულებს დაიმახსოვნონ, რომ ჰანუყვაძემ, რამიშვილის მკვლელმა, ვერ მოიყვანა ვერავითარი საბუთი იმისი, რომ რამიშვილს მისთვის რაიმე ვნება მიეყენებიოს.

ბაქრაძის ჩვენებამ და ბრალდებულის უწყეო და უწმაწურ რეპლიკამ საბოლაოთ გამოარკვია მთელი მორალური სახე დამნაშავის, რამაც გადასწყვიტა მისი ბედი.

შემდეგ დაკითხულ იქნა ქერქაძე. ამ მოწმემ მკვლელობის შემდეგ კვირაში მისწერა მარო რამიშვილისას, რომ ის ორჯერ ახლდა საბჭოთა საკონსულოში ჰანუყვაძეს და ორივეჯერ გამოსულმა მითხრა, რომ ჩქარა წავალ საქართველოში და შენც წაგიყვანო. ასეთივე ჩვენება მისცა გამომძიებელს. გავიდა ხანი—და უცებ იგივე ქერქაძე იწერება ორ წერილს, რომ მას სპ. კედიას ხალხი დაემუქრენ, მოგკლავთ თუ არ უარყავი შენი ჩვენებაო, შიშის ქვეშ წამიყვანეს პოლიციაში და ახალი განცხადება დამაწერიესო. აქვე დაასახელა კედიას კაცები: გეგელია, სინჯიკაშვილი და სხ. ამათ შორის ორი—კედია და გეგელია გამოცხადდენ სასამართლოში ჰანუყვაძის მოწმეებათ.

ქერქაძეს ეკითხებიან რომელი შენი ჩვენებაა მართალი—პირველი, გამომძიებელთან მიცემული თუ პოლიციაში განცხადებული.

ქერქაძე. რასაკვირველია პირველი, მეორე განცხადება შიშის ქვეშ გამაკეთებიეს კედიას ხალხმა—გეგელიამ და სხვებმა. უამბობს როგორ იყო საქმე.

იწვევენ გეგელიას.

გეგელია: ქერქაძე მოვიდა ჩემთან ღამის პირველ საათზე, და მითხრა რომ ქართულ საელჩოში მენაღარიშვილმა ძალით დამაწერია წერილი მაროს სახელზე. მე ურჩიე მას წასულიყო პოლიციაში და იქ ყველაფრის განცხადება. რადგანაც მან ფრანგული არ იცის კარგათ, მე წავყევი თარჯიმანათ. წავედით, პოლიციის კომისარმა ოქმში შეიტანა მისი ჩვენება. სხვა არაფერი ვიცი.

ქერქაძე. ყველაფერი ეს ახლა მოიგონა გეგელიამ. რას ელაპარაკებოდა კომისარს ვერ გავიგე.

გაიმართა მათ შორის კამათი, ერთი-მეორეს ამტყუნებდენ ტყუილში. სამსჯავრომ ვერაფერი გაიგო და დაადგინა კომისარის გამოწვევა.

ამით გათავდა პარასკევის სხდომა.

შაბათს სხდომა გაიხსნა 12 საათზე. ორივე მხარის ვექილები შეთანხმდენ უარი ეთქვათ დანარჩენ მოწმეებზე და აგრეთვე პოლიციის კომისარის და ქერქაძის პირში წაყენებაზე, გარდა სოფ. ლიოვილის ფრანგი მოწმეებისა. ამნაირათ აღარ დაკითხეს რამიშვილის მოწმეებს: გვაზავას, ხატისოვს. რასულზადეს. შამილს, დ. შარაშიძეს, ზ. ჯორბენაძეს, ავ. ურუშაძეს, და ჭანუყვაძის მოწმეებს—სპ. კედიას და გეგელიას.

ლიოვილის მერმა გოდფრუამ, მასწავლებელმა ქალმა გრობიმ და ქ-მა ბურემ აჩვენეს ერთი და იგივე: რამიშვილი იდგა ლიოვილში სხვა ქართველ ემიგრანტ მუშებთან, ამუშავებდა მიწას, ცხოვრობდა ღარიბათ, თავისუფალ დროს მიდიოდა პარიზში პოლიტიკური მუშაობისათვის. ვიცნობდით როგორც პატიოსან და მშრომელ ადამიანს და ქონდა დამსახურებული საერთო სიყვარული.

ჩვენ იმედი გვაქვს, რომ შევძლებთ შემდეგ ნომერში დაწვრილებით (სტენოგრაფიულ ანგარიშის მიხედვით) გავაცნოთ მკითხველს მორო-ჯიაფერის შესანიშნავი სიტყვა. ეხლა კი მოკლეთ მოვიყვანთ მას.

— ნოე რამიშვილის ქვრივის და მისი შვილების სახელით, დაიწყო მან. და აგრეთვე ეს უნდა გავაცხადო განსაკუთრებით—მთელი საქართველოს სახელით, მე მოვითხოვ მართლმსაჯულების აღსრულებას! მე მგონია, რომ იქნებოდა ჩემი მოვალეობის და ჩემი როლის ღალატი, რომ არ მომეთხოვა მტკიცე განჩინება ამ მკვლელისათვის, რომლის ულმობელობას ჩვენ საკმარისათ გავეცანით, ხოლო, რომლის მამოძრავებელი მოტივები ჩვენთვის აქამდე საიდუმლოებითაა მოცული.

მოქმედობდა ის დამოუკიდებლათ, განკერძოებულათ თუ იყო სხვისი ნების აღმასრულებელი იარაღი და რა სასყიდელით? მე მგონია, რომ ის იყო ბოლშევიკების იარაღი და რომ ის ასრულებდა მათ ბრძანებას, როცა ჰკლავდა რამიშვილს, საქართველოს განმათავისუფლებელ ბრძოლის განსახიერებას. მაგრამ ამ ჩემი რწმენის დასამტკიცებლათ იურიდიული საბუთების მოყვანა მე არ ძალმიძს. თქვენ იცით როგორ მოხერხებულათ, როგორი საიდუმლოებით აწყობენ და ასრულებენ ისინი ასეთ საქმეებს.

განთქმული ადვოკატი ახასიათებს ნ. რამიშვილის ცენტრალურ როლს არა მარტო საქართველოს, არამედ მთელი კავკასიის განმათავისუფლებელ მოძრაობაში, მის შეურიგებელ ბრძოლას ბოლშევიკების წინააღმდეგ, აღნიშნავს მის შეტაკებას ჯუღაშვილთან—ეხლანდელ სტალინთან. დამოუკიდებლობა გარეთ, დემოკრატია შიგნით—აი რა იყო რამიშვილის დროშა! რამიშვილი იყო საქართველოს დროშაო! რამიშვილი იყო საქართველოს ეროვნული გმირი, ხოლო ბოლშევიკებისათვის უსაშინელესი მტერი. რა კმაყოფილებით, რა სიხარულით წაიკითხავდენ მოსკოვში დეპეშას რამიშვილის მოკვლის შესახებ. ნამდვილი ავტორები ამ ბოროტმოქმედების არიან ისინი, ვისაც ამ მკვლელობამ უდიდესი სარგებლობა მოუტანა. ეს არის მოსკოვი. 10 წ. განმავლობაში გაგრძელდა რამიშვილზე ნადირობა. ბოლოს ჭანუყვაძის ხელით აასრულეს თავისი წადილი. ბრალდებულს სწყუროდა საქართველოში დაბრუნება. ვის შეეძლო მისი ამ მიზნის ასრულება თუ არ მოსკოვს. იქნებ სახლში დაბრუნების საშუალების მიცემა იყო ის სასყიდელი, რომელიც მას აღუთქვესო?

ჯიაფერი გასაოცარი ლოღიკით და სიმარტივით არჩევს საქმის იურიდიულ მხარეს. ის უჩვენებს მსაჯულებს როგორ ზედიზედ გაქრა ბრალდებელის და მოწმეების დაკითხვის დროს მკვლელის მიერ მოხსენებული ყველა მოტივები ბოროტმოქმედებისა. პირველი იყო პირადი შურისძიება, გამოწვეული ვითომც იმ ბოროტებით და ვნებით, რომელიც რამიშვილმა ჭანუყვაძეს მიაყენა: ოდენკურის ქარხნიდან დათხოვა, უმუშევარი და ულუკმაპუროდ დარჩენა. ასეთი იყო ჭანუყვაძის პირველი მოტივი. ვექილი, მოწმეების ჩვენებაზე, დოკუმენტებზე და თვით ჭანუყვაძის აღიარებაზე დაყრდნობით უჩვენებს ნაფიც მსაჯულებს, რომ სინამდვილეში არავითარი როლი რამიშვილს მისი მომავალი მკვლელის სამუშაოდან დათხოვნაში არ ჰქონია; თუ ის ჩაერია ამ საქმეში, მხოლოდ ერთ მომენტში, როცა საქმე ეხებოდა ჭანუყვაძისთვის ოდენკურელების მიერ დახმარების მიცემას და ეს მისი ჩარევა იყო კაცთმოყვარეობის და ლმობიერების გრძნობით აღბეჭდილი: მან განზრახულ 250 ფრანკის მაგივრად 500 ფრანკი მიაცემია ჭანუყვაძისათვის. ვექილი ამტკიცებს დოკუმენტალურად, რომ ასეთივე ხასიათის იყო მეორე ჩარევა რამიშვილისა ჭანუყვაძის ბედში: პარიზში დაბრუნებულ ჭანუყვაძეს მისი, რამიშვილის, შუამდგომლობით აძლევს საქართველოს ლეგაცია სარეკომენდაციო ბარათს ერთ-ერთ დიდ ქარხანაში. ყველაფერი ეს კარგად იცის თვით ბრალდებულმა. პროცესზე მან ვეღარ უარჰყო ეს ფაქტები. ასე გამოდის, რომ მან რამიშვილი მოჰკლა არა უკანასკნელის მიერ მისთვის მიყენებულ ბოროტებისათვის, არამედ სიკეთისათვის! მკვლელობა რომ შურისძიების ნიადაგზე ჩაედინა ჭანუყვაძეს, ის ამას მაშინვე, ე. ი. 1930 წლის დასაწყისში ჩაიდენდა და არა 9 თვის შემდეგ. ის იმიზეზებს უმუშევრობას და ულუკმაპურობას. გამოძიებამ კი დაამტკიცა, რომ ჭანუყვაძე უსახსროდ და უმუშევრად არ დარჩენილა. და მკვლელობის მომენტშიც კი ის სამუშაოზე იყო!

ასევე მოგონილია ჭანუყვაძის მეორე მოტივი: რამიშვილმა ჩემი საქართველოში დაბრუნება დამპირდა და მომატყუაო. გამოძიებამ საკმაო სინათლე მოჰფინა ამ მოტივს. ყველასათვის აშკარაა, რომ ლეგალური გზით მისი «რეპატრიაცია» მხოლოდ საბჭოთა საკონსულოს შეეძლო, ხოლო აქ რამიშვილის. ბოლშევიკების უდიდესი მტრის ჩარევა. ჭანუყვაძეს საბოლოოთ გაუფუჭებდა საქმეს.

რაც შეეხება მეორე, არალეგალურ გზას, აბა რომელი ჭკუაში მყოფი კაცი დაიჯერებს, რომ რამიშვილი თუნდაც ერთის წუთით გაივლებდა თავში საიდუმლო და უდიდესათ საპასუხისმგებლო მისიით გაეგზავნა საქართველოში ისეთი კაცი, რომელიც მის ამხანაგებმა გარიცხეს და რომელიც გამუდმებით აუგებდა და მტრობდა რამიშვილს და მის პოლიტიკურ მეგობრებს!

დარჩა მესამე მოტივი, ცოტა დაგვიანებით მოტანილი მკვლელის მიერ, თითქოს ვიღაცამ წინასწარ განზრახული გეგმით ჩააგონა მისი მოყვანაო. ეს არის პოლიტიკური მოტივი—რამიშვილი თავისი ქვეყნის მტერი იყო, მან საქართველო დაღუპაო. აქ სახელგანთქმული ვექილი აკეთებს მეტად ნიჭიერ მიმოხილვას საქართველოს უკანასკნელი დროის პოლიტიკურ ვითარებისას—გაშლის მის ბრძოლას თავისუფლებისათვის მე-18 საუკუნის დასაწყისიდან დღევანდლამდე და აღნიშნავს ნ. რამიშვილის როლს უკანასკნელი 30 წლის განმავლობაში. განსვენებული ჩვენი ამხანაგი იხატება როგორც უდიდესი ფიგურა ჩვენი განმათავისუფლებელი ბრძოლისა, პატივისცემით და სიყვარულით აღჭურვილი არა მარტო მის მახლობელ წრეში, არამედ აგრეთვე მეზობლებში და უცხოელებში. ჭანუყვაძემ მოსტაცა განმათავისუფლებელ ბრძოლას სული, ერს წინამძღოლი, დემოკრატიას ჩირაღდანიო.

როცა მე ბოროტმომქმედის დაცვა მიხდებაო—აცხადებს ვექილი—და მათთვის ლმობიერებას ვიცავ ამას ჩავდივარ იმ რწმენით, რომ ლმობიერებას აქვს აზრი და რომ ის სარგებლობას მოიტანს. ამ შემთხვევაში კი არც ერთი და არც მეორე მოსატანი არ არის, მე მოვითხოვ მაგარ განაჩენს. არა, ეს მისი მოქმედება ვერ დარჩება დაუსჯელი. ნუ თუ კიდევ დიდ ხანს უნდა შეიქნეს საფრანგეთი ასპარეზათ სისხლით ანგარიშის გასწორებისა უცხოელთა შორის, რომელნიც აქ მყუდრო თავშესაფარს პოულობენ? რამდენიმედ თქვენზეა დამოკიდებული, ნაფიცო მსაჯულებო, ამას ბოლო მოეღოსო!

ჯიაფერის სიტყვა ორი საათი გაგრძელდა. მის შემდეგ ლაპარაკობს სახელმწიფო ბრალმდებელი, პროკურორი სიამი. მისი საბრალდებულო სიტყვა მოკლეა, მაგრამ ძლიერ ნათელი. ის თავს ანებებს პოლიტიკურ მოტივებს და მისდევს საქმის იურიდიულ მხარეს. როგორც მორო-ჯიაფერისათვის, პროკურორისათვისაც სრულიად გაბათილებულია მკვლელის მიერ მოყვანილი მოტივები. ჭანუყვაძე მას მიაჩნია გულჩახვეულ, აუტანელ და ბოროტ ადამიანათ, «მხეცათ», რომელიც მის თანამემამულეებზე გაბოროტებული, გადასწყვეტს შური იძიოს მათზე და ამისთვის ირჩევს თავის მსხვერპლათ ერთ საუკეთესო ქართველ პოლიტიკურ მოღვაწეთაგანს, მაღალის ღირსებით აღჭურვილს და ყველასაგან პატივცემულს.

პროკურორი მოითხოვს ჭანუყვაძისათვის კატორღით დასჯას.

და აი დგება მკვლელისს პირველი დამცველი ჩვენი მკითხველისაგან კარგათ ცნობილი ადვოკატი ანრი ტორესი, რომლის გამოსვლა ქართული გამათავისუფლებელი მოძრაობის და საქართველოს დამოუკიდებლობის წინააღმდეგ ახალი არაა. ის სასამართლოს ძიებას თითქმის სულ არ დასწრებია და საქმის არსებითი მხარეზე თავს არც იწუხებს. ის სხვა მეტად იოლ საშვალებებს მიმართავს მკვლელის დასაცავათ.

პირველია ჩვენი მოძრაობის და საერთოდ საქართველოს დამოუკიდებლობის გამასხარავება, გაბახება. თავის სიტყვის დასაწყისში ტორესს თავი მოაქვს საქართველოს საკითხის დიდ მცოდნეთ, რასაც თავისი მგრვინავი ხმის აწევით და მეტად თეატრალური ჟესტებით ამცნობს სასამართლოს. ეს მისი «სპეცობა» ჩვენს საკითხში ეყრდნობა ერთი მხრით ბოლშევიკურს ლიტერატურას ჩვენს წინააღმდეგ, მეორე მხრით კიდევ ზოგიერთი ჩვენი შეურიგებელი მემარჯვენე ნაციონალისტების ჟარგონს, ყველაფერი ეს შეზავებულია ცნობილი ადვოკატის უხვი ფანტაზიით. მოვიყვანთ რამდენიმე ნიმუშს ამ საქართველოს საკითხის სპეციალისტის ისტორიული ვარჯიშობიდან. თურმე ნუ იტყვით, საქართველოს დამოუკიდებლობა გამოგონილი ყოფილა კ. ჩხეიძის, ირ. წერეთლის, ნ. ჟორდანიას, ნ. რამიშვილის მიერ, რომლებიც თავისთავს რუსებათ ასაღებდენ ბოლშევიკურ გადატრიალებამდე, ხოლო როცა ისინი ბოლშევიკებმა მოსკოვიდან გამოაძევეს, მაშინ გაიხსენეს თავისი ქართველობა, შეთხზეს ეროვნული თავისუფლება, დაბრუნდენ საქართველოში და დაარსეს დამოუკიდებელი რესპუბლიკა. რადგან ამ უკანასკნელს სხვა საარსებო ნიადაგი არ ჰქონია, ზემომოხსენებულმა პირებმა არც აცივეს, არც აცხელეს და მოუხმეს გერმანელებს—ჩამოიყვანეს საქართველოში ბავარიის პოლკები და ეს იმ დროს, 1918 წ. ივნისში, როცა საფრანგეთი სისხლისაგან იცლებოდა იმავ გერმანიასთან ბრძოლაში ცივილიზაციისა და დემოკრატიისათვის. საქართველოს სოციალდემოკრატები ყოფილან ბოროტი და გაუსწორებელი გერმანოფილები, რასაც გულში ცემით და პატეტიური ყვირილით ერწმუნებოდა ბ. ტორესი ფრანგ მსაჯულებს.

ხოლო, როცა გერმანელები დ[illegible]ცხდენ, ქართველი სოციალდემოკრ[illegible] ინგლისს ეყმენ, მას ბაქო-ბათუმის ნავთსადენი ჩააბარეს და ასე წარმოიდგინეთ—ბათუმ-ყარსის რკინის გზის ხაზის კონცესიაც კი მისცეს. ასეთია ისტორია, შეთხზული ტორესის მიერ!

მაგრამ ეს გერმანო და ანგლოფილობა ქართველი სოციალდემოკრატიის ერთად-ერთი ცოდვა როდი ყოფილა. ისინი არიან თურმე არა დემოკრატები, არამედ მარქსისტები, იმ საშინელ მარქსის, პლეხანოვის და მარტოვის მოწაფენი, რომელნიც პროლეტარიატის დიქტატურას და სხვა მრავალ საშინელებას ქადაგებენ. მკითხველმა უნდა იცოდეს, რომ ამ უკანასკნელ წლებში რეაქციონერებს ევროპაში სიტყვა მარქსიზმი და მარქსისტი შუათანა მოქალაქეების, ე. წ. «ობივატელის», საფრთხობელათ გამოაქვთ.

აშკარათ, თავისი სიტყვის პირველსა და უდიდეს ნაწილში ტორესი შეეცადა ფრანგი ნაფიცი მსაჯულები, შუათანა მოქალაქეებიდან ამოკრებილი, დაეფრთხო ნ. რამიშვილის და მისი მეგობრების «გერმანოფილებათ» და მარქსისტებათ. ხოლო მეორე ნაწილში, საცა ის მკვლელზე ლაპარაკობდა, მიმართა არა ნაკლებ დემაგოგიურ საშუალებას: ბევრი ილაპარაკა საფრანგეთში დღეს მეტად მტკივნეულ საკითხზე—უმუშევრობაზე, და მკვლელი გამოიყვანა ამ უმუშევრობის მსხვერპლი, ხოლო ქართველი სოც.-დემოკრატები საფრანგეთის შინაურ ცხოვრებაში ჩამრევათ, შრომის თავისუფლების დამრღვევათ, რომლებმაც ჭანუყვაძეს ლუკმა-პურის შოვნის საშუალება აღუკვეთეს.

ეს უკანასკნელი ვერსია განავითარა თავის სიტყვაში ჭანუყვაძის მეორე დამცველმა, დელატრმა. აქაც დიდი ადგილი მიეცა ფანტაზიას, სასამართლოს გამოძიებაში ცხადყოფილ მრავალი ფაქტის გვერდის ავლას.

ისიც უნდა ითქვას რომ ჭანუყვაძის ორთავე დამცველებმა არჩიეს ხელი აეღოთ ნ. რამიშვილის პიროვნების წინააღმდეგ გალაშქრებაზე და «ქედიც კი მოიხარეს» მისი ხსოვნის და მისი ქვრივის «დიდი გლოვის» წინაშე.

მხარეთა დავა დასრულდა. ნაფიცი მსაჯულები მიდიან სათათბიროთ და 45 წუთის შემდეგ გამოაქვთ გამამტყუნებელი ვერდიქტი შემამსუბუქებელ გარემოებათა ცნობით. თავის მხრივ სახელმწიფო მსაჯულები მიდიან სათათბიროთ სასჯელის დასადებათ, ნაფიც. მსაჯულთა განჩინების თანახმათ. მცირე თათბირის შემდეგ სამსჯავროს თავმჯდომარე აცხადებს: ათი წლის ციხე და 20 წლის განმავლობაში საფრანგეთში ცხოვრების აკრძალვა.

საქართველოდან გვატყობინებენ:

ხორაგოულში მოხდა შეტაკება მუშებსა და ჩეკისტებს შორის. მუშებმა დასჭრეს ჩეკისტი ხითაროვი.

— თფილისში რკინის გზის დეპოში ტროცკისტებმა დაყარეს ფურცლები. კომპარტია იხრწნება.

— ცნობილი კომუნისტი ტრესტის გამგე გოგი დევდარიანი დაატუსაღეს. აბრალებენ განძრახ მავნებლობას.

— ფოთში 40 პორტის მუშა დაიჭირეს. აბასთუმანში იყო სტალინი—სამი დღის სამყოფი თეთრი პური მოუტანა ქუთაისს.

— ს. დ. მ. პარტიის ც. კ. მოიწვია პარტიული თათბირი სხვადასხვა საკითხების გადასაჭრელათ. თათბირს დაესწრო ყველა ორგანიზაციების წარმომადგენელნი.

სოციალდემოკრატია და ბოლშევიზმი

კარლ კაუცკისა.

III. საბჭოთა კონსტიტუციის დემოკრატიზაცია.

ვინც იმ შეხედულებისაა, რომ მიუხედავათ მისი კონტრრევოლიუციური თვისებებისა ბოლშევიკური რეჟიმი არსებითად მაინც რევოლიუციურია, ის ბუნებრივათ შიშობს რომ ამ რეჟიმის დაქცევა ზიანს მიაყენებს რევოლიუციას, და ეძებს ისეთ გამოსავალს, რომელიც არსებულ სისტემას კი არ აუქმებს, არამედ გარდაქმნის: ეს არის საბჭოების დემოკრატიზაცია.

პირველი შეხედვით ჩემს მეგობრებსა და ჩემს შორის განსხვავება ამ საკითხში არც ისე დიდია. მეც მათებრ წინსვლათ ჩავთვლიდი ასეთი დემოკრატიზაცია რომ მოხდებოდეს. და ისინი, როგორც მე, ამ დემოკრატიზაციაში უნდა ხედავდენ მხოლოდ გარდამავალ მდგომარეობას, საფეხურს სრული დემოკრატიისაკენ, რომლის ნიადაგზე ჩვენ სამივე ასე მტკიცეთ ვდგევართ.

და, მიუხედავათ ამისა, სამწუხაროთ ჩვენ ამ კითხვაშიაც განვსხვავდებით რამდენადაც მე მას ძლიერ მცირე მნიშვნელობას ვაძლევ, მაშინ როდესაც ჩემს მეგობრებს იგი უაღრესად მნიშვნელოვანად მიაჩნიათ.

უნდა გავითვალისწინოთ თუ რა მოსაზრებით იქნა დაწესებული საბჭოთა კონსტიტუცია. ლენინმა მოახვია ის რუსის ხალხს, რადგან დემოკრატიამ, საყოველთაო, თანასწორ და ფარულ საარჩევნო უფლების განხორციელებამ პრესის, სიტყვის და კრების სრული თავისუფლების პირობებში, დაანახა მას, რომ რუსის ხალხის უმრავლესობა მის ზურგის უკან არ იდგა. საბჭოთა კონსტიტუცია შემოღებულ იქნა მხოლოდ ერთი მიზნით: რომ შესაძლებელი გამხდარიყო უმცირესობას ემართა უმრავლესობა და ერთ პარტიას მოეპოვებია მონოპოლია არა მარტო პოლიტიკური ძალა-უფლების, არამედ საზოგადოთ მთელი პოლიტიკური მოქმედების; რომ ამასთანავე პროლეტარებს ვერ შეემჩნიათ მათ კისერზე დადგმული ჩაგვრის უღელი და, პირიქით, ეფიქრნათ თითქოს ისინი არიან პრივილეგიური კლასი, სახელმწიფოს ნამდვილი ბატონ-პატრონნი. საბჭოთა კონსტიტუცია არის შექმნილი მხოლოდ პროლეტარიატის დამონავების და მოტყუების მიზნით.

როგორც არ უნდა წარმოიდგინონ საბჭოების დემოკრატიზაცია, ეს მცნება, თუ ის უბრალო თვალთმაქცობა ან ილიუზია არ არის, შეიძლება მხოლოდ ერთ რამეს ნიშნავდეს: საბჭოების გადაქცევას ჩაგვრის იარაღიდან განთავისუფლების იარაღად, სახელდობრ პატარა უმცირესობის დღეს არსებულ თვითმპყრობელობისაგან განთავისუფლებისა, ე. ი. დემოკრატიზაცია ნიშნავს საბჭოების გადაქცევას ბოლშევიკების დასამხობ იარაღათ. რომ ამ უკანასკნელთ ამხედრებული ჰყავთ თავის წინააღმდეგ მცხოვრებთა დიდი უმრავლესობა და რომ მათ ყოველივე ნიადაგი გამოეცლებათ ფეხქვეშ როგორც კი განხორციელდება დემოკრატია, თუნდაც მხოლოდ პრივილეგიურ კლასთათვის, ამაში ხომ ეჭვის შეტანა შეუძლებელია.

მაშასადამე უნდა ვიფიქროთ, რომ დემოკრატიზაცია მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნებოდა მიღწეული, თუ შესაძლებელი გახდებოდა კომუნისტურ პარტიაზე უძლეველი ზეგავლენის მოხდენა.

ამ შემთხვევისთვის წარმოსადგენია ორი შესაძლებლობა. პირველია ძლიერი სახალხო აჯანყება. თუ ამაზე მიდგა საქმე, მაშინ ძნელი გასაგებია რატომ ის ბოლომდე არ უნდა მივიდეს და არ ამჯობინოს დაუყონებლივ სრული დემოკრატიის მიღწევა დემოკრატიზაციის გატარებას მხოლოდ პრივილეგიურ კლასების ფარგლებში,

მეორე შესაძლებლობა იქნებოდა შემდეგი: შეიძლება თვით კომუნისტთა წრეში წარმოიშვას ოპოზიცია, რომელიც შეიგნებს, რომ არსებული მდგომარეობა აუტანელია და რომ მას მთელი სახელმწიფო დაღუპვის გზაზე მიჰყავს. მაგრამ, როგორც კომუნისტები, ისინი შეპყრობილნი არიან საბჭოთა კონსტიტუციის ტრადიციით. მაგრათ ებღაუჭებიან მას და არ ძალუძთ მასზე ხელის აღება. სამაგიეროთ ისინი უფრო ადვილათ დასთანხმდებიან საბჭოების დემოკრატიზაციას და შეიძლება საკმარისი ძალაც აღმოაჩნდეთ მის გასატარებლათ. ამით შესაძლებელი გახდებოდა დიდი მასიური აჯანყების და ბოლშევიკური ხელისუფლების სრული დანგრევის აცილება.

ეჭვი არაა, რუსეთის სახელმწიფოსა და რუსეთის ხალხისთვის საუკეთესო გამოსავალი იქნებოდა ეს რომ განხორციელდებოდეს. ეს მათ გადაარჩენდა მთელ იმ განადგურებისა და წარმოუდგენელ ქაოსისაგან, რომელიც თან სდევს აჯანყებას. ჩემი უდიდესი სურვილი იქნებოდა განხორციელებულიყო ეს მეთოდი დემოკრატიაზე გადასვლისა და ბოლშევიზმის ლიკვიდაციისა.

მაგრამ—მესმის, მესმის სანატრელი ამბავი, ოღონდ ვაი რომ რწმენა მაკლია.

ეჭვი არაა, საბჭოთა კავშირის მთელი მშრომელი ხალხისთვის, პროლეტარების, გლეხების და ინტელიგენტებისათვის, საბჭოების დემოკრატიზაცია იძლევა ერთად ერთ შესაძლებლობას ნაკლები ზარალით დააღწიონ თავი საშინელ მდგომარეობას. მაგრამ კომუნისტურ პარტიისათვის საბჭოების სერიოზული დემოკრატიზაცია ნიშნავს არა ნაკლებ ვინემ სრული დემოკრატია, მისი პოლიტიკური და სოციალური თვითმკვლელობის დასაწყისს. მას ის თვით შეიგნებს, საბჭოების ზოგიერთი ფორმების შენახვა მას შეცდომაში ვერ შეიყვანს. რუსეთის დიქტატორები დღეს საკუთარ ბანაკშიაც კი ვერ ითმენენ მარჯვნით თუ მარცხნით გადახრას და აბა როგორ უნდა მისცენ შესაძლებლობა სხვა პარტიებს ილაპარაკონ გლეხების და მუშების წინაშე, დაირაზმონ და გაბატონებულ პარტიას შეებრძოლონ საბჭოებში ძალა-უფლების მოსაპოებლათ? და მხოლოდ ასეთი დათმობები ხომ საკმარისი არ იქნება საბჭოების დემოკრატიზაციისათვის.

კომუნისტური პარტიის ბატონობა ერთხელ და სამუდამოთ აგებულია შეუზღუდველ დიქტატურაზე, ამ დიქტატურის ყოველგვარი შერბილება მას დაასამარებდა. რა გულითაც არ უნდა მსურდეს მე ასეთი შესაძლებლობა, ჩვენ ხომ არ შეგვიძლია ჩვენი პოლიტიკა ავაგოთ იმ მოლოდინზე, რომ ჩვენი მოწინააღმდეგეები ერთ მშვენიერ დღეს დასთანხმდებიან თვითმკვლელობა ჩაიდინონ.

ჩემი მეგობრები იმედს ამყარებენ კომუნისტ მუშების იმ ნაწილზე, განსაკუთრებით ახალგაზდობაზე. რომელნიც რევოლიუციის ლოზუნგებს სერიოზულათ უყურებენ და რომლებიც ჯერ ვერ გაუთახსრებია კომუნისტური პარტიის პრაქტიკას. მეც წარმომიდგენია რომ ასეთი ელემენტებიც არსებობენ. ძლიერ დაცემულ ელემენტების გვერდით. ძნელია იმის განსაზღვრა თუ როგორი უნდა იყოს მათ შორის რიცხვობრივი განწყობილება. უეჭველია, რომ ბოლშევიკური რეჟიმის ზეგავლენით იდეალისტთა რიცხვი უფრო და უფრო კლებულობს მათ შორის, ხოლო უხასიათო კარიერისტთა და მედროვეთა რიცხვი მატულობს. ყოველ შემთხვევაში ასეთი იდეალისტები, უეჭველია, კიდევ არსებობენ. უდავოა, რომ მათი ჩვენსკენ მომხრობა მნიშვნელოვან ამოცანას შეადგენს, ამას მე სიამოვნებით ვცნობ თუმცა ამავე დროს ვეჭვობ რომ მათ ოდესმე შესძლონ გავლენა მოახდინონ კომუნისტური პარტიის პრაქტიკაზე, რომელიც განისაზღვრება ამ პარტიის არსებობის პირობებით. დანი სწერს «კამპფ»-ში (გვ. 510):

«პროლეტარიატის ამ აქტიურ ფენების მობილიზაცია დემოკრატიისათვის საბრძოლველათ—აი ძირითადი პრობლემა ყოველ პარტიისათვის, რომელიც სერიოზულათ ელტვის რუსეთში პოლიტიკური დემოკრატიის მოპოებას».

ამ დებულებას მე სავსებით ვეთანხმები. ხოლო არა იმ დასკვნებს, რომელსაც აქედან აკეთებენ. დანი შემდეგ გარემოებაზე მიგეითითებს:

«საბჭოთა რეჟიმის პირობებში აღზრდილი მუშათა ახალგაზდობა არ იცნობს სხვა რეჟიმს, გარეშე ბოლშევიკურისა, მას არ ესმის არავითარი სხვა სიტყვები, გარდა ბოლშევიკურისა, მისთვის უწმინდეს რწმენათ გამხდარა, რომ დემოკრატია არის ბურჟუაზიის უმსგავსო გამოგონება და სხვა არაფერი».

ამ ფენების მიმხრობა დემოკრატიულ რეჟიმისათვის თურმე მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება, თუ დემოკრატიას საბჭოთა ნიღაბით მოვრთავთ:

«საჭოთა რუსეთში დღეს არსებულ პირობებში... დამფუძნებელ კრების და დემოკრატიულ რესპუბლიკის უკლებლივი ლოზუნგი არის ლოზუნგი დემოკრატიულ ილიუზიების და თავისმოტყუების, ლოზუნგი მუშათა კლასის განხეთქილების გამუდმივებისა, ლოზუნგი, რომელსაც შეიძლება ერთხელაც კიდევ ხვდეს საბედისწერო როლი მისი კონტრრევოლიუციის მიერ პირბადეთ გამოყენებისა, რასაც უკვე ჰქონდა ადგილი სამოქალაქო ომის დროს».

უნდა გიმოვტყდე, ამ სიტყვებმა პირდაპირ შემაძრწუნა და უაღრესად შემაწუხა. პოლიტიკაში საჭიროა ორი რამ გავარჩიოთ ერთმანეთისაგან; სწრაფვა პრაქტიკულ შედეგების მიღწევისათვის და პროპაგანდა ჩვენი მიზნებისათვის. პირველ შემთხვევაში აუცილებელია დროებითი კომპრომისები. დებულება: ყველაფერი ან არაფერი—სიბრიყვეა, რა ლამაზათაც არ უნდა ხვდებოდეს ის ყურს.

პირიქით, პროპაგანდამ ჩვენი მიზნების სასარგებლოთ არ უნდა იცოდეს არავითარი კომპრომისი, არავითარი პირბადის აფარება, არავითარი ყალბი დროშის გამოფენა იმ მიზნით, რომ გაურკვევლობა შეუქმნათ მათ, ვისიც მომხრობა გვინდა. მასიურ ორგანიზაციის შექმნის მიზნით, რაიცა მუდამ მხოლოდ ლეგალური გზითაა შესაძლებელი, გერმანიის სოციალდემოკრატიამ ერთ დროს თავის პროგრამაში წამოაყენა არა აშკარად რესპუბლიკის, არამედ «დემოკრიტიულ სახალხო სახელმწიფოს» მოთხოვნილება. მაგრამ ჩვენს პროპაგანდა-აგიტაციაში არასოდეს დაგვიმალავს, რომ ჩვენი მიზანი დემოკრატიული რესპუბლიკაა.

და ეხლა იმით უნდა მოვიმხროთ რუსეთის მუშები დემოკრატიისათვის, რომ დემოკრატიულ რესპუბლიკის იდეა დავფაროთ და საბჭოთა სამოსელით შევმოსოთ?

დანი ლაპარაკობს «დემოკრატიისათვის ბრძოლისათვის პროლეტარიატის ფენების მობილიზაციაზე», ხოლო ამავე დროს ფიქრობს მხოლოდ კომუნისტურათ მოაზროვნე მუშებზე. განა რუსეთში

კარლ მარქსი

ფინანსიურ კრიზისზე

კაპიტალის უკანასკნელ ტომში, რომლის სათაურია—კაპიტალისტური წარმოების მთლიანი პროცესი—მრავალი ადგილებია ფინანსიური კრიზისის მიზეზების და შედეგების შესახებ. დრო კი არის დღეს ეს ადგილები გავიხსენოთ და სინამდვილეს ღია თვალებით შევხედოთ.

მარქსი სწერს:

«დგება ახალი ფინანსიური არისტოკრატია, ახალი კატეგორია პარაზიტებისა სხვადასხვა ფორმით: მეპროექტენი, დამაარსებელნი და დირექტორები, მხოლოდ სახელით, მთელი სისტემა მოტყუების და წართმევის სააქციო საზოგადოებათა დაარსების, ემისიის და აქციათა ვაჭრობის საქმეში. ეს არის კერძო წარმოება მოკლებული კერძო საკუთრების კონტროლს. ამ სააქციონერო საზოგადოებათა გარეშე, კრედიტი საშუალებას აძლევს კერძო კაპიტალისტს ან იმას ვინც ითვლება კაპიტალისტათ სავსებით თავის განკარგულებაში იქონიოს, განსაზღვრულ პირობებში, კაპიტალი და საკუთრება, მაშასადამე, სხვების შრომა. შესაძლებლობა იქონიოთ სოციალური კაპიტალი იძლევა შესაძლებლობას იქონიოთ სოციალური შრომა. თქვენი საკუთარი კაპიტალი ან რასაც საზოგადო აზრს თქვენათ მიაჩნია არის მხოლოდ კრედიტის საფუძველი. ეს განსაკუთრებით ეხება მსხვილ ვაჭრობას, რაიცა წარმოებს უმთავრესათ სოციალური ნაწარმოებით... ამ სპეკულიაციაში სხვილი ვაჭარი რისკობს მხოლოდ სოციალური საკუთრებით. დიდი სიბრიყვეა კაპიტალის წარმოშობის გამოყვანა ხელმომჭირნეობიდან, ვინაიდან ეს ვაჭარი ითხოვს სწორეთ იმას, რომ სხვები ხელმომჭირნეობდენ მისთვის. კრედიტის წყალობით ეს პიროვნებანი გამოდიან რგორც მრეწველობის მესვეურნი. რადგანაც აქ საკუთრება არსებობს აქციათა ფორმით, მისი მოძრაობა და გადაცემა არის შედეგი ბირჟის ოპერაციების, სადაც ცხვრები ხდებიან სხვერპლნი მგლების.

«თუ კრედიტი ხდება უმთავრეს ბერკეტათ ზედმეტი წარმოების და კომერციული სპეკულაციის ეს მხოლოდ შემდეგი მიზეზით: წარმოების პროცესი, რაც ელასტიური ბუნებისაა, აქ მიყვანილია უკიდურეს საზღვრამდე იმიტომ რომ სოციალური კაპიტალის დიდი ნაწილი იხმარება არა მის მესაკუთრეთა მიერ: ესენი კი მას არ უფრთხილდებიან იმდენათ, რამდენათ ფრთხილობს თვით მესაკუთრე, რომელიც არასოდეს არ უშვებს მხედველობიდან თავისი საკუთარი კაპიტალის საზღვარს.

«სანამ წარმოების (რეპროდუქციის) პროცესი მიმდინარეობს ნორმალურათ და შემოსავალი უზრუნველყოფილია, კრედიტი მაგრდება და ფართოვდება; მისი გაშლა აგებულია თვით წარმოების გაშლაზე. როგორც კი მოხდება წარმოების შეჩერება, გამოწვეული შემოსავალის დაგვიანებით, ბაზრის გავსებით და ფასების დაწევით, სამრეწველო კაპიტალი არსებობს ჭარბათ, მარა ისეთი ფორმით, რომელიც მას არ ანებებს შეასრულოს თავისი ფუნქცია. კაპიტალი-საქონელი არსებობს მასიურათ, მაგრამ არ იყიდება. მასში ჩაყრილია მუდმივი კაპიტალი, ხოლო წარმოების შეჩერება მას ხდის უძრავათ. კრედიტი მცირდება იმიტომ რომ: პირველათ, კაპიტალი მოუხმარებელია, ე. ი. გაჩერებულია თავისი რეპროდუქციის ფაზაში, უძლური დაასრულოს თავისი მეტამორფოზა (გადასხვაფერება), მეორეთ, ნდობა რეპროდუქციის პროცესის შეუჩერებლობაში დანგრეულია, მესამეთ, კომერციულ კრედიტს ნაკლებათ ითხოვენ. მქსოველი, რომელმაც შეამოკლა თავისი წარმოება, და აქვს მთელი საწყობი გაუყიდავი ძაფების, არ საჭიროებს იყიდოს ბამბა კრედიტით. აგრეთვე ვაჭარი, რომლის მაღაზია სავსეა, არ საჭიროებს შეიძინოს საქონელი კრედიტით... ფაბრიკები იკეტება, ნედლი მასალა გროვდება, მანუფაქტურით ივსება ბაზარი. მაშასადამე სავსებით ყალბია ამ მდგომარეობის მიწერა საწარმოვო კაპიტალის ნაკლებობისათვის. პირიქით, საწარმოვო კაპიტალი ჭარბათ არის შედარებით წარმოების, ამ ჟამათ განელებულის, მოთხოვნილებასან და განელებულ მოხმარებასან.

«არსებულ პირობებში კაპიტალის ჩადება წარმოებაში დამოკიდებულია არა-მწარმოებელ კლასთა მოხმარების შესაძლებლობაზე, ხოლო მუშათა მოხმარების შესაძლებლობა საზღვარ დადებულია ხელფასის კანონებით და აგრეთვე იმით რომ მუშებს აქვთ სამუშაო იმდენხანს, რამდენხანსაც ეს აძლევს შემოსავალს კაპიტალისტთა კლასს. ნამდვილი კრიზისების საბოლაო მიზეზია მასების სიღარიბე და საზღვარდადებული მოხმარება. ეს მიზეზი ეწინააღმდეგება კაპიტალისტური წარმოების მიდრეკილებას—განავითაროს საწარმოვო ძალები, თითქოს ამას ქონდეს სხვა საზღვარი გარდა საზოგადოების მოხმარების აბსოლიუტიური შესაძლებლობისა. საწარმოვო კაპიტალის ნაკლებობა განვითარებულ კაპიტალისტურ წარმოებაში შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა საზოგადოთ გლახა მოსავლია ან მთავარი საკვები მასალის ანდა მრეწველობისათვის ყველაზე უფრო მიუცილებელი ნედლი მასალის».

(თავი 27 და 30)

მუშათა საერთაშორისო მოძრაობა და პოლიტიკა

ინგლისის მუშათა პარტიის კონგრესი.

ინგლისის მუშათა პარტიის მეოცდათერთმეტე წლიური კონგრესი, რომელიც გაიხსნა ქალაქ სკარბოროში გასულ ოქტომბრის პირველ რიცხვებში, უთუოთ მეტათ მნიშვნელოვან კონგრესათ იქნება აღნიშნული ინგლისის მუშათა კლასის მოძრაობის ისტორიაში.

სკარბორის კონგრესის მთელი ყურადღება მიპყრობილი იყო იმ საარჩევნო ბრძოლაზე, რომელსაც ლაბურ პარტია აწარმოებდა ინგლისის «ნაციონალურ» მთავრობის გარშემო გაერთიანებულ პარტიების თუ ჯგუფების წინააღმდეგ.

მუშათა პარტიის მდგომარეობა გართულებული იყო მით, რომ მას დაშორდენ მისი ისეთი გამოჩენილი ხელმძღვანელნი, როგორიც არიან მაკდონალდი, სნოუდენი და თომასი. ეს ყოფილი ლიდერები სასტიკ ბრძოლას აწარმოებდენ მუშათა პარტიის წინააღმდეგ და მის გასანადგურებლათ.

მუშათა პარტიის მტრების იმედებს ფრთები შეესხა. ისინი ფიქრობდენ, რომ მუშათა პარტიის მთლიანობა საფრთხეში იყო: ერთი მხრივ, მათი აზრით, შესაძლებელი იყო ყოფილ ლიდერებისათვის კონგრესის საგრძნობ ნაწილს მხარი დაეჭირა, მეორე მხრივ კი პარტიას მისი მემარცხნე ფრთა—დამოუკიდებლების ჯგუფი ჩამოსცილებოდა და გამოყოფოდა. არ გამართლდა არც ერთი და არც მეორე მათი მოლოდინი.

ყოფილ ლიდერებზე, მაკდონალდზე, სნოუდენზე და თომასზე კონგრესზე არავითარ ლაპარაკს და კამათს არ ქონებია ადგილი. კონგრესზე მათი პარტიიდან გარიცხვის საკითხიც არ ისმება. მათ ხომ თვითონ დააყენეს პარტიის გარეშე თავიანთ თავი. მხოლოდ კონგრესის თავმჯდომარე—ხორსტი თავის სიტყვის ერთ ადგილას ამბობდა, რომ მუშათა მოძრაობამ დაჰკარგა რამდენიმე ხელმძღვანელი, რადგანაც სხვანაირათ ის დაჰკარგავდა თავის საკუთარ სულს... კონგრესის წევრნი უთუოთ მძიმე გრძნობას განიცდიდენ მათ ყოფილ ხელმძღვანელთა დაკარგვის გამო, მაგრამ არც ერთ მათგანს კონგრესზე მაკდონალდ-სნოუდენისათვის მხარი არ დაუჭირა.

არ გამართლდა მუშათა პარტიის მოწინააღმდეგთა მოლოდინი არც დამოუკიდებელ პარტიის შესახებ.

ბურჟუაზიული პრესა ამ უკანასკნელ ხანებში ირწმუნებოდა, რომ ჰენდერსონის ხელმძღვანელობით და მისი გადამეტებული ზომიერებით ლაბურ პარტიის ერთი ნაწილი არ იყო კმაყოფილი. შექმნილ მდგომარეობით კი პარტიის მემარცხნე ფრთას ვითომ შეეძლო დიდათ ესარგებლა და პარტიაში დეზორგანიზაცია მოეხდინა. მაგრამ ის ოვაციები, რომლითაც მთელი კონგრესი ხვდებოდა ჰენდერსონს, სავსებით აბათილებენ მუშათა პარტიის მოწინააღმდეგეთა მოლოდინს. ლაბურ პარტია დიდის ენთუზიაზმით და სოლიდარობით სდგას ჰენდერსონის უკან და მას სრულ ნდობას უცხადებს.

დამოუკიდებელთა პარტია მაქსტონ-ბროკვეის ხელმძღვანელობით კი არ წარმოადგენს რაიმე საგრძნობ და საშიშარ ძალას ლაბურ პარტიის რიგებში.

როცა კონგრესზე დაისვა დისციპლინის საკითხი და დამოუკიდებელთა პარტიისაგან მოითხოვდენ საპარლამენტო მუშაობაში უმრავლესობისადმი დამორჩილებას და მასთან ერთათ სოლიდარულათ ხმის მიცემას, ამას მაქსტონ-ბროკვეი შეებრძოლა, მაგრამ მათი მომხრეთა რიცხვი კონგრესზე სრულიათ უმნიშვნელო აღმოჩნდა.

ამნაირათ ბურჟუაზიული პრესა, თუ პარტიები ტყვილა უბრალოთ ამყარებდენ ამდენ იმედებს მუშათა პარტიის რიგების დაქსაქსვაზე და იქ განხეთქილების გამეფებაზე.

დღემდინ ინგლისის მუშათა პარტია ითვლებოდა რეფორმისტულ პარტიათ და მის სოციალისტობას იჭვის თვალით უყურებდენ. შეხეთ, რა ჭკვიანი და ზომიერი ხალხია ეს ინგლისელები და როგორ ცოტათი გვანან ისინი ევროპის სოციალისტებსო. სოციალიზმის განხორციელება, ინგლისელების აზრით, უნდა მოხდეს თანდათანობით, ამა თუ იმ რეფორმების შემოღებით, და ყველა ამისათვის ათეული წლებია საჭიროო. ის ფაქტი, რომ ეკონომიურათ უაღრეს განვითარებულ ინგლისში სოციალისტური იდეოლოგია სუსტი იყო, მეცნიერულ სოციალიზმის გასაბათილებლათ იყო ხმარებული.

სკარბოროს კონგრესზე ლაბურ პარტიის ეკზეკუტივმა წარადგინა ათი რეზოლიუციის პროექტი, რომელიც უნდა გამხდარიყო პარტიის საარჩევნო პლატფორმათ.

ყველა კითხვათა შორის კონგრესის უმთავრესი ყურადღება მიიპყრო ფინანსიურ პოლიტიკის საკითხმა, რომლის შესახებ მომხსენებლათ პეთიკ ლორენსი გამოვიდა. ლორენსი წევრი იყო ყოფილი მუშათა მთავრობის და პარტიის ერთ საუკეთესო ძალათ ითვლება.

დღევანდელ ეკონომიურ კრიზისის და კაპიტალიზმის დეკადანსის ხანაში ინგლისის მუშათა კლასმა ნათლათ შეიგნო, რომ მან უნდა დაიმორჩილოს ფულის ძლიერება, თორემ წინააღმდეგ შემთხვევაში ეს უკანასკნელი იქნება მისი ბატონი, ბრძანებელი და დამმორჩილებელი. მისთვის დღეს აშკარაა, რომ ფულის და ბანკების სისტემის კონტროლი მისცემს საშუალებას მუშათა კლასს დაამყაროს ახალი სოციალური და ეკონომიური რეჟიმი და განახორციელოს სოციალისტური იდეალიო, ამბობდა ლორენსი.

ლორენსი აკრიტიკებდა კაპიტალისტურ რეჟიმს და ხაზს უსვამდა იმას, რომ დღევანდელი ფინანსიური სისტემა დამბლას გვრიდა მთელ წარმოებას. ბანკირები მხოლოთ ერთ საშუალებას შემოგვთავაზებენ: შევამციროთ მუშათა ხელფასი და შევზღუდოთ მუშათა კლასის მოთხოვნილებანი. არას ამბობენ, არც სამხედრო ვალების და არც შეძლებულთა კლასის შემოსავლის შესახებო. ბანკების და კრედიტის საქმე ამიერიდან აღარ უნდა დარჩეს კერძო კაპიტალისტების ხელში, არამედ უნდა გახდეს საზოგადო კუთვნილებათ და მას უნდა გაეწიოს კონტროლი სახელმწიფოს მიეროო.

უმთავრესია, რომ ინგლისის ბანკი, რომელიც არის დღეს კერძო დაწესებულება, ექვემდებარებოდეს დემოკრატიულ კონტროლს, ვინაიდან ამ ბანკიდან არის დამოკიდებული არა მხოლოდ ფულის პოლიტიკა, არამედ ამა თუ იმ კრედიტების გაცემა, ურომლითოდაც წარმოების და ვაჭრობის არსებობა შეუძლებელიაო.

სავაჭრო და საბაჟო პოლიტიკის შესახებ მომხსენებელი იყო ვილიამ გრაჰამი. ის აღნიშნავდა იმ ფაქტს, რომ ინგლისის ლიბერალიზმა ნაწილობრივათ უღალატა ვაჭრობის თავისუფლების პრინციპს და «ნაციონალურმა» მთავრობამ დანიშნა არჩევნები იმ მიზნით, რომ ინგლისის ერს თავზე მოახვიოს პროტექციონიზმი. მუშათა პარტია უნდა შეებრძოლოს ამ უკანასკნელს და ენერგიულათ დაიცვას ვაჭრობის თავისუფლებაო.

პარტიის უმთავრესი საზრუნავი ეხლა ის არის, რომ ყველას შეაგნებინოს აუცილებელი საჭიროება მთელი ინგლისის წარმოების დაუყონებლივ სოციალისტურათ გარდაქმნისა. ისეთი დიდი წარმოებანი, როგორიც არის ელექტრონის, ტრანსპორტის, მაღაროების და რკინეულობის წარმოება დაუყონებლივ უნდა გახდეს საზოგადო კუთვნილებათ. უნდა მოისპოს საქონლის გატანის და შემოტანის ანარქია და ყველაფერი ეს მოგვარებულ უნდა იქნას ცენტრალურ საზოგადოებრივ ორგანოების მიეროო.

დაბოლოს გრაჰამი ხაზს უსვამდა იმას, რომ მთელი ნაწარმოების და ვაჭრობის გარდაქმნის პროცესში უდიდესი როლი უნდა ითამაშოს კოოპერატიულმა მოძრაობამ, რომელსაც აქვს სათანადო გამოცდილება და რომელსაც შეუძლია დიდათ შეუწყოს ხელი ახალი წესწყობილების დამყარებასო.

ამნაირათ, თუ წინეთ ინგლისის მუშათა პარტიას სოციალისტობას უწუნებდენ და მას მეტათ რეფორმისტულათ სთვლიდენ, სკარბორას კონგრესის შემდეგ ასეთი რამის თქმა შეუძლებელია.

ინგლისის მუშათა კლასისათვის დღეს სოციალიზმი აღარ არის უბრალო თეორ[illegible]ეული იდეალი, რომელიც რამოდენიმე თაობების შემდეგ უნდა განხორციელდეს.

პარტიის ეკზეკუტივში სხვებთან ერთათ კონფერენციამ აირჩია მუშათა მთავრობის ყოფილი წევრები, რომელნიც არ გაყვენ მაკდონალდს და დარჩენ პარტიის ერთგულნი: კლაინსი, რობერტსი, სმითი, დოლტონი, ლანსბერი, მორისონი, სუზან ლორენსი და კომტონი. ჰენდერსონი ერთხმათ იქნა არჩეული პარტიის გენერალურ მდივნათ და საპატიო მოლარეთ.

ლაბურ პარტიის პროგრამა.

ინგლისის მუშათა პარტიამ თავის წლიურ კონგრესზე სკარბაროში მიიღო ათი რეზოლიუცია, რომელიც წარმოადგენდა მის პლატფორმას უკანასკნელ არჩევნებში.

პირველი რეზოლიუცია პარტიის საერთო პოლიტიკას ეხება:

კონგრესი კიდევ ერთხელ გამოსთქვამს თავის რწმენას, რომ სოციალიზმი პრაქტიკულათ სწყვეტს ყოველგვარ იმ სიდუხჭირეს, რომელიც ერთი მხრივ მომდინარეობს ანარქისტულ კონკურენციიდან და მეორეს მხრივ ფინანსიური ინტერესების ბატონობისაგან. კონგრესი მოითხოვს, რომ არსებულ წარმოებათა მეტი ნაწილი თვით საზოგადოებამ აიღოს ხელში და მოაწყოს ის ხალხის ინტერესების მიხედვით.

მეორე რეზოლიუცია, ფულის და ბანკების პოლიტიკის შესახებ ასეთია:

კონგრესი დარწმუნებული იმაში, რომ ეკონომიური დეპრესია და უმუშევრობა ინგლისში ამ უკანასკნელი წლების განმავლობაში უფრო გაუარესებულ იქნა დეფლაციის პოლიტიკის გამო, კიდევ ერთხელ აღნიშნავს, რომ ბანკების და კრედიტის ეროვნულ სისტემის კერძო ინიციატივის ამარათ დატოვება შეუძლებელია და მოითხოვს სახელმწიფოს კონტროლს მათზე.

ის მოითხოვს აგრეთვე დაარსებულ იქნას ნაციონალური ბიურო, რომელსაც ექნება თავისი სტატუტი და რომლის დანიშნულება იქნება კაპიტალის დაბანდება როგორც შინ, ისე გარეთ.

კონგრესი გამოსთქვამს რწმენას, რომ ფულის პოლიტიკა მიმართული იქნება იმ გზით, რომ ერთ განსაზღვრულ დონეზე მოხდება სტაბილიზაცია დიდი პარტიებით ვაჭრობის ფასებისა. ეს პოლიტიკა წინააღმდეგი უნდა იქნას როგორც ინფლაციის, ისე დეფლაციის და ოქროს პარიტეტის აღდგენისა.

კონგრესი მოითხოვს ინგლისის ინიციატივას მოწვეულ იქნას ინტერნაციონალური კონფერენცია, რომლის მიზანი იქნება ფულის შეთანხმებული პოლიტიკის გამომუშავება, რაც მთელი ქვეყნის სიმდიდრეს ხელმისაწვდენათ გახდიდა მათთვის, ვინც დღეს ზედმეტ სიმდიდრის შუა ასეთ გასაჭირს განიცდის.

მესამე რეზოლიუცია მოითხოვს მოკავშირეთა შორის ვალის მოსპობას და ვალების და რეპარაციების საკითხის ხელახლათ გადასინჯვას.

მეოთხე ენერგიულ პროტესტს აცხადებს ბაჟის ყოველ სისტემის წინააღმდეგ და მოითხოვს ელექტრონის, მიმოსვლის და დიდი მეტალურგიული ინდუსტრიის ორგანიზაციას საზოგადო საკუთრების ნიადაგზე. საქონელის გატანა და შემოტანა უნდა ემორჩილებოდეს საზოგადო ორგანოების კონტროლს. ამასთანავე მუშათა პარტია მიმართავს კოოპერატივებს, რათა ამ უკანასკნელმა მას დახმარება გაუწიოს ახალი წყობილების დასამყარებლათ.

მეხუთე რეზოლიუცია მოითხოვს მაღაროების ერისადმი გადაცემას და მათ სრულ რეორგანიზაციას.

მეექვსე სურვილს გამოთქვამს, რომ განიარაღების საერთაშორისო კონფერენციამ საგრძნობ შედეგებს მიაღწიოს.

მეშვიდე იძლევა სასოფლო-მეურნეობის რეორგანიზაციის გეგმას და მოითხოვს მიწის ნაციონალიზაციას.

მერვე იცავს ინდოეთის თვითგამორკვევის უფლებას და იმედს გამოსთქვამს, რომ რგვალი მაგიდის კონფერენციით დაიწყება ახალი ხანა მეგობრობისა დიდ ბრიტანეთს და ინდოეთს შორის.

მეცხრე რეზოლიუცია პროტესტს აცხადებს უმუშევრებისადმი დახმარების დაკლების წინააღმდეგ და მეათე გმობს იმ მეთოდებს, რომლის საშუალებით დღევანდელი მთავრობა ცდილობს ბიუჯეტის წონასწორობის დამყარებას.

კომუნისტური პარტიის კრიზისი გერმანიაში.

«ფორვერტსი» თვით კომუნისტების დოკუმენტებით ამტკიცებს კომუნისტური პრესის მწვავე კრიზისი გერმანიაში. ირკვევა, რომ არსებობს ასობით კომუნისტური ჯგუფები, რომელთა შორის კომუნისტური პრესის არც ერთი მკითხველი არ მოიპოვება. მაგალითათ, დუსელდორფის ოლქში არსებობს 24 კომუნისტური ჯგუფი, და მათ შორის არც ერთი არ კითხულობს კომუნისტურ გაზეთს. 33 ასეთი ჯგუფია დრეზდენში, 34—კენიგსბერგში. კიდევ უარესი მდგომარეობაა ბრანდენბურგში (ბერლინი), სადაც 154 ჯგუფს კომუნისტური გაზეთის არც ერთი მკითხველი არ მოეპოვება. ცენტრალური ორგანო, «როტე ფანე»ს ტირაჟი თანდათან ეცემა. ეს გაზეთი ვრცელდება უმთავრესათ რუსეთში, თუ საბჭოთა საზღვარ გარეთელ დაწესებულებებში.

სოციალისტური ინტერნაც. ახალი სექცია.

ურაგვაის (სამხრეთ ამერიკა) სოციალისტურმა პარტიამ თავის მეთერთმეტე კონგრესზე დაადგინა შეუერთდეს მუშათა სოციალისტურ ინტერნაციონალს და კიდევაც მიმართა შესაფერი განცხადებით ინტერნაციონალის ეკზეკუტივს. ამნაირათ ამიერიდან სამხრეთ ამერიკიდან ინტერნაციონალში წარმოდგენილი იქნება არგენტინის და ურაგვაის სოც. პარტიები.

ალარაა სხვა მუშები? და თუ არიან ისეთები, რომლებიც დემოკრატიულ რესპუბლიკის სასარგებლოთ გამოდიან, ჩვენ მათ დეზავუაცია უნდა უყოთ კომუნისტების მომხრობის გულისათვის?

მას უნდა ანგარიში გაუწიოს იმ გარემოებას, რომ ბოლშევიკები უდიდეს ტყუილებს შესთავაზებენ მუშებს ნამდვილ დემოკრატიის შესახებ. ამიტომ მას ხელსაყრელათ მიაჩნია მხოლოდ საბჭოების ფარგლებში მოითხოვოს დემოკრატია. მაგრამ ბოლშევიკები ხომ არა ნაკლებ სტყუიან მენშევიკების შესახებაც. იქნებ ჩვენმა რუს ამხანაგებმა, მუშებზე შთაბეჭდილების მოსახდენათ, ხელი უნდა აიღონ მენშევიკების სახელის ტარებაზე და გამოვიდენ როგორც ბოლშევიზმის განსაკუთრებული მიმართულება?

ეს, რა თქმა უნდა, დანს არას შემთხვევაში არ უნდა. ის აუცილებელ საჭიროებათ სთვლის ნათლად შეაგნებიოს რუსეთის მუშებს რანი არიან მენშევიკები და რა უნდათ მათ. მაგრამ ხომ ეგევე ითქმის დემოკრატიულ რესპუბლიკაზედაც.

რომც მოვინდომოთ დაუმალოთ რუსეთის მუშებს რომ ჩვენ, სოციალდემოკრატები, დემოკრატიულ რესპუბლიკის მომხრენი ვართ, ეს მაინც არას შემთხვევაში არ დარჩება დაფარული; ამისთვის თვით ბოლშევიკები იზრუნებენ როგორც კი დაიწყება სერიოზული მოძრაობა საბჭოთა დემოკრატიზაციისათვის.

«ეშმაკობას იქ, საცა საქმე იდეებს ეხება», ლასალის სიტყვებით რომ ვთქვათ, პოლიტიკაში ჯერ არაოდეს არ მოუტანია ხეირი, განსაკუთრებით კიდევ იმ პარტიისათვის, რომელსაც მხოლოდ თავისი იდეების სიდიადით შეუძლია მასების მომხრობა და აღფრთოვანება. უვიცობას არასოდეს არ უნდა დაუთმოთ, თუმცა ანგარიში კი უნდა გაუწიოთ. მას უნდა შევუფარდოთ ჩვენი პროპაგანდის მეთოდი და არა მიზნები, რომლისათვისაც გვინდა ავაფრთოვანოთ უვიცნიც.

დანი მიგვითითებს იმ გარემოებზე, რომ 1918 წ. ზოგიერთ თეთრგვარდიელებმა დემოკრატიული რესპუბლიკის და დამფუძნებელი კრების მოთხოვნილებით ისარგებლეს და მით მას სახელი გაუტეხეს. ეს მომაგონებს ერთ ანეგდოტს დეკაბრისტების აჯანყების დროიდან. 1825 წლის დეკემბერში მოკვდა მეფე ალექსანდრე პირველი, გამოურკვეველი იყო, იმპერატორის ორ ძმათაგან რომელი დაჯდებოდა მის ადგილას, ნიკოლოზი თუ კონსტანტინე. ამ მომენტში გამოვიდენ ერთი გაყოლა შეთქმული ოფიცრები იმ მიზნით, რომ ახალი იმპერატორი აეძულებიათ კონსტიტუცია მიეცა. მათ მოახერხეს რამდენიმე ხნით პეტერბურგის ჯარების ერთი ნაწილის მომხრობა. მრავალი ჯარისკაცები იძახდენ: «გაუმარჯოს კონსლიტუციას», მაგრამ მათ ეგონათ რომ ეს იყო მოსალოდნელი იმპერატორის კოსტანტინეს მეუღლის სახელი.

ამ ჯარისკაცების პოლიტიკურ სიმაღლეზე დგას დღეს საბჭოთა რუსეთში ის ხალხი, რომელიც ფიქრობს, რომ დემოკრატიული რესპუბლიკა და დამფუძნებული კრება უარსაყოფია, რადგან 1918 წელში ორიოდე გენერალმა მოინდომეს მათ ხარჯზე გამოსარჩენის ნახვა. ჰიტლერმაც ინება დროებით ზოგიერთი რამეების სესხება გერმანიის სოციალდემოკრატიულ პროგრამისაგან, მაგრამ ჩვენთვის ხომ ეს არასოდეს არ გახდება მისგან ნასესხებ მოთხოვნილებების ამოგდების საბუთად. ჩვენ მხოლოდ დავამტკიცებთ რომ ეს მოთხოვნილებები სულ სხვა რამეს ნიშნავს ჩვენი მთლიანი პროგრამის ფარგლებში და ჰიტლერის აგიტაციაში.

მესამე ნაპოლეონმა, მის მიერ 1851 წ. მოხდენილ სახელმწიფო გადატრიალების შემდეგ, არამც თუ მოითხოვა, 1918 წლის თეთრგვარდიელ გენერლების დაგვარათ, არამედ მართლა შემოიღო საყოველთაო, თანასწორი და საიდუმლო საარჩევნო უფლება. სოციალდემოკრატიისათვის ეს გარემოება არასოდეს არ გამხდარა საბუთი, რომ მას ეს მოთხოვნილება თავის პროგრამიდან ამოეღოს. სამოციან წლების დასაწყისში მისთვის იბრძოდა არა მარტო ლასალი პრუსიაში, არამედ აგრეთვე მარქსი ინგლისში.

შედარებების გაკეთება რომ გვინდოდეს, შეიძლებოდა ბონაპარტიზმის მიერ საყოველთაო საარჩევნო უფლების ბოძება შეგვედარებია საბჭოთა დიქტატურის დემოკრატიზაციის მოთხოვნისათვის.

ნამდვილათ, უდიდესი წინსვლა იქნებოდა რომ საბჭოთა რუსეთს ისეთ მდგომარეობამდე მაინც მიეღწია, როგორშიაც საფრანგეთი ბონაპარტიზმის დროს იმყოფებოდა. საბჭოთა რეჟიმი გაცილებით მასზე უფრო დაბლა სდგას. რუსეთის ხალხს თავი ბედნიერათ უნდა ჩაეთვალა, საბჭოთა დიქტატურა რომ ნაპოლეონ მესამეს რეჟიმის მსგავსი წყობილებით შეცვლილიყო.

მაგრამ საჭირო არაა ამის შესახებ თავის მტვრევა. საბჭოთა მოძალადენი ამ დათმობებზედაც არ წავლენ. ხოლო თვით ხალხში თუ დაიწყო საკმაოთ მძლავრი მოძრაობა, რომელიც შესძლებს საზღვარი დაუდოს ძალადობის რეჟიმს, მაშინ დღის წესრიგში დადგება არა «ბონაპარტიზმი» ე. ი. საბჭოების მხოლოდ დემოკრატიზაცია, არამედ ნამდვილი დემოკრატიზაცია, დემოკრატიული რესპუბლიკა.

(დასასრული იქნება)

დასაბეჭდი წერილები, ფული და სხვა უნდა გამოიგზავნოს შემდეგი მისამართით:

M-r OURATADZE
10. rue Jules Ferry. Leuville-s-Orge (S.-et-O.)
France

Arpajon— Imprimerie de *La Gazette de Seine-et-Oise*.

Le Gérant : René Toussaint.